ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 1 დეკემბერი, 2022

№237 (9015)

ფასი: 80 თეთრი

## სასამართლომ ვაკის პარკის ტრაგედიის საქმეზე დაკავებული ცხრავე პირი პატიმრობაში დატოვა

გვ.5



# „სააკაშვილი საკუთარი გარემოცვის მძევალიც გახდა“



ვახტანგ ძაბირაძე: „მიხეილ სააკაშვილი დღეს, როგორც პოლიტიკური ფიგურა, განადგურებულია“



გვ.3

„სააკაშვილის სასამართლოში, გვერდით შენობაში გადაყვანა ჯანმრთელობისთვის ხიფათს შეიცავდა, საზღვარგარეთ გადაყვანა უფრო სახიფათო არ იქნება?! ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ“



## „ივანიშვილი დასავლეთთან მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობით ვაჭრობს“

გვ.2



რომან გოცირიძე: „მიხეილ სააკაშვილს რამე რომ მოუვიდეს, ვერცერთი მოსამართლე ცხოვრების განმავლობაში მშვიდად ვერ დაიძინებს“

## „ვანო მერაბიშვილს სურს, ნაციონალების ქონება სამართავად თავად დარჩეს“



გვ.4

მამუკა ტუსკაძე: „სააკაშვილი ნამდვილად ავადაა. ექიმების კვლევების ნაწილი გამოქვეყნდა, ვესაუბრე ექიმებსაც და მას მართლა მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობა აქვს“



## „რუსეთის ბრძოლისუნარიანი ნაწილები მწყობრიდან 70-75%-ით არის გამოყვანილი“

უკრაინელი გენერალი: „რუსეთი ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურიდან წასვლის გეგმებს ამუშავებს“

გვ.4

## დავით ტაბიძე: „მუნიციპალური განვითარების ფონდი ქვეყნის მასშტაბით 885 საბავშვო ბაღის მშენებლობასა და რეაბილიტაციას იწყებს“



გვ.3

## ანდრია გვიდიანი: „მომავალი წლის ბიუჯეტი ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს სათანადოდ პასუხობს“





გვ.3

1993230720223


5 სასამართლომ „ტვ პირველსა“ და ტელეწამყვან მაია მამულაშვილს კახა კალაძის მიმართ 15 ათასი ლარის გადახდა დააკისრა

2 მარიამ ჯიშკარიანი სააკაშვილზე — „მოსალოდნელია გარდაცვალებაც“

5 შალვა ხაჭაპურიძის განცხადებით, საკუთარ სახლსა და ავტომობილში სათვალთვალო კამერები იპოვა

6 რუსეთი უკრაინაზე ბირთვულ დარტყმას აპირებდა

# „ივანიშვილი დასავლეთთან მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობით ვაჭრობს“

## „მიხეილ სააკაშვილს რამე რომ მოუვიდეს, ვერცერთი მოსამართლე ცხოვრების განმავლობაში მშვიდად ვერ დაიძინებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს რომან გოცირიძე პასუხობს.



***– ბატონო რომან, ბოლო პერიოდში ვისმენთ შეფასებას, რომ მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობა კრიტიკულია, თუმცა ხელისუფლება საპირისპიროს გვიმტკიცებს. კობახიძემ ისიც განაცხადა, ხომ არ სიმულანტობსო. რა პოზიცია აქვს ხელისუფლებას, რა უნდათ? კობახიძისა და იუსტიციის მინისტრის განცხადებები ერთმანეთს მიება. რა გზავნილები მოვისმინეთ?***

– იუსტიციის მინისტრის განცხადება არის ბრძანება მოსამართლეებისადმი, რომ არ გაბედონ მიხეილ სააკაშვილის სამკურნალოდ გადაყვანა. პირდაპირ გეუბნებით, იუსტიციის მინისტრის განცხადება შეიძლება შევაფასოთ, როგორც ჯალათის განცხადება, რომელსაც ალაპარაკებენ იმას, რასაც უკარნახებენ, ოღონდ ბოლომდე ვერ იზეპირებს, რა უნდა თქვას.

***– სასამართლო პროცესზე მისი არგამოცხადება აძლიერებს ეჭვებს, რომ სააკაშვილი მძიმედაა?***

– ფაქტია, კლინიკის ექიმებმაც დაადასტურეს, რომ მიხეილ სააკაშვილის კლინიკა „ვივა მედიდან“ სასამართლომდე გადაყვანა, რომლებიც არის ერთმანეთთან ძალიან ახლოს, შეიცავს საფრთხეს. ამაზე დიდი საგანგაშო სიგნალი ან დიაგნოზი რა უნდა იყოს, როდესაც ამბობენ, რომ მისი სასამართლოში მიყვანა საკაცით ან ეტლით შეიცავს რისკებს, ანუ იმდენად არის დაუძლურებული, რომ მისმა ორგანიზმმა ასე მოკლე მანძილზე გადაადგილებაც კი შეიძლება ვერ აიტანოს. შესული იყვნენ ჩვენი დეპუტატები და ყველა მათგანი ამბობს, რომ ადამიანი არის ჩამომდნარი და ჩამომხმარი. სახეზე ვერ იცნობ. ერთი ფოტოს გადაღებისაც კი ეშინიათ, რომ ხელისუფლებამ დაამშვიდოს მიხეილ სააკაშვილის ასეულათასობით მომხრე და აჩვენოს, რომ მისი მდგომარეობა არ არის საგანგაშო. მიხეილ სააკაშვილი არის კამერაში. ეს საავადმყოფო არაა, სადაც სააკაშვილი ჰყავთ. ეს არის ციხე, რომელიც სპეციალურად აქვს დაქირავებული პენიტენციარულ სამსახურს. რეალურად ციხეა მოწყობილი.

***– იმის თქმა გინდათ, რომ ეს არ არის პალატა და არის საკანი?***

– დიახ, ეს არის საკანი. მოაწყვეს საპატიმრო, რომელიც იქვეა სამედიცინო დაწესებულებასთან. როდესაც იუსტიციის მინისტრი ამბობს, რომ თურმე მიშა არ არის მძიმე მდგომარეობაში, მაშინ მოაყოლოს რაიმე მტკიცებულება ან დიაგნოზი. არადა, დიაგნოზი უკვე დადებულია როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ექსპერტებისაგან. ან ფოტო და ვიზუალური მასალა გვაჩვენონ. მაშინ ხომ გამოაქვეყნეს სააკაშვილის ძალადობრივი ვიდეო. ახლა გამოაქვეყნონ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი კადრები. არ აქვეყნებენ იმიტომ, რომ მათ არ უნდათ, სიმართლე დაინახოს ხალხმა. მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობა მისულია უკიდურეს ზღვრამდე.

***– სიმულანტობსო, გუშინ პარლამენტის სხდომაზე თქვა კობახიძემ და იულია ტიმოშენკოს მაგალითი მოიყვანა, მეორე დღესვე წამოხტა ეტლიდანო.***

– ყველა მათი განცხადება არის სიცრუე. იულია ტიმოშენკოს მაგალითი რომ მოჰყავთ, სინამდვილეში, იულია ტიმოშენკო რვა თვის განმავლობაში მკურნალობდა გერმანიაში! 8 თვის მერე ეტლიდან რომ წამოხტეს ნამკურნალევი ადამიანი, ბუნებრივია. ესეც არ არის სიმართლე, იულია ტიმოშენკო 8 თვის მერე დააბრუნეს უკრაინაში ციხეში და ის გათავისუფლდა უკრაინაში მომხდარი მაიდანის რევოლუციის შემდეგ. ასე რომ, ყველა მათი განცხადება არის დემაგოგიური და სიცრუე! სინამდვილეში, იუსტიციის მინისტრის ეს განცხადება ემსახურებოდა მოსამართლეების დაშინებას. ვერცერთი მოსამართლე თავისი ცხოვრების განმავლობაში მშვიდად ვერ დაიძინებს, მიხეილ სააკაშვილს რამე რომ მოუვიდეს. ხელისუფლებები ხომ მუდმივი არ არის, ხომ იცვლება? ციხეში ამოყოფენ თავს! გარანტირებული ციხე ემუქრებათ მოსამართლეებს, რომლებმაც სასამართლო პროცესი გადადეს. მოსამართლეს არ უნდა, რომ მიუსაჯოს სააკაშვილს საზღვრის დარღვევისათვის, რადგან ამის შემდეგ თავისუფლად შეუძლია, შეიწყალოს სალომე ზურაბიშვილმა, რადგან განაჩენი იქნება დამდგარი.

***– კობახიძე პრეზიდენტ ზურაბიშვილს მიმართავს და აცხადებს, სააკაშვილის შეწყალებამდე მან უნდა გაითვალისწინოს, სიმშვიდესა და არეულობას შორის აკეთებს არჩევანს და, დიდი იმედი გვაქვს, პრეზიდენტი ასე არ მოიქცევაო. ანუ პრეზიდენტსაც აშანტაჟებენ?***

– ზუსტად. ორი მისამართით არის ეს მუქარა, ერთი მოსამართლეების მიმართ, რომ არ გამოიტანონ განაჩენი, რომ მერე პრეზიდენტს არ მიეცეს შეწყალების შესაძლებლობა და მეორე, აშანტაჟებენ პრეზიდენტს, რომ არ შეიწყალოს არც ნიკა გვარამია და არც მიხეილ სააკაშვილი.

***– ადვოკატები ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე აპირებენ, მიმართონ სასამართლოს სასჯელის გადავადების თაობაზე და რას ელით?***

– რა გითხრათ, როცა ვისმენთ კობახიძის განცხადებებს, რომელიც მიმართულია შანტაჟისკენ. აშანტაჟებენ მოსამართლეებსა და პრეზიდენტს. არგუმენტი ის არის, რომ თურმე მიხეილ სააკაშვილი თუ გამოვა, უკმაყოფილებას გამოიწვევს. თუმცა, მიხეილ სააკაშვილი თუ არ გამოვა და, ღმერთმა ნუ ქნას, ფატალურად დამთავრდეს მისი ბედი, აი, უკმაყოფილება კი არა, ქვეყანაში მოხდება საშინელება. ესენი ვერ გაასწრებენ ხალხს ქვეყნიდან! ვინ რომელ საზღვარზე გაიქცევა, კაცმა არ იცის. რაც შეეხება სასამართლოს, თუ რას იზამენ, აჯობებს იფიქრონ მათ მომავალ ბედზე, რომელიც არის ციხე, ან უნდა დაიდოს სააკაშვილის გადაყვანის ნებართვა. მათ თუ ჭკუა აქვთ, ჰუმანური და სამართლიანი არჩევანი უნდა გააკეთონ .

***– ამიტომ ხომ არ გააქტიურდა კობახიძე, ხომ არ ეშინია სასამართლოს გადაწყვეტილების?***

– რა თქმა უნდა, ზუსტად ამიტომ არის, რომ ბრიფინგებს ბრიფინგებზე აწყობენ. მთავრობაშიც და პარლამენტშიც ყველანი პაიკები არიან. არავინ არ იცის, რა საკითხზე რა უნდა თქვას.

***– ივანიშვილს ელოდებიან?***

– ყველა ელოდება, რას იტყვიან ღარიბაშვილი და კობახიძე და მერე თუთიყუშებივით იმეორებენ. ღარიბაშვილი და კობახიძე კი აგვიანებენ რეაგირებას, ვინაიდან ვერ შეაწუხებენ ივანიშვილს, რადგან ის 7 საათზე იძინებს. სანამ ინფორმაცია მივა ბიძინამდე და მერე უკან დაბრუნდება, სხედან და ელოდებიან.

***– რა ინტერესი აქვს ივანიშვილს სააკაშვილის მიმართ, ასე რატომ გაჯიუტდა? პირადი შურისძიებაა თუ რა ხდება?***

– კი ბატონო, ყველაფერი შეიძლება განვიხილოთ, შესაძლოა, იყოს პერსონალურიც, ურთიერთობიდან გამომდინარე, მაგრამ მთავარი მაინც ივანიშვილისთვის არის ფული და ძალაუფლება. ივანიშვილის მიზანია, სააკაშვილი გამოიყენოს სავაჭრო თემად დასავლეთთან, რომ შეეშვან მას და სანქციები არ დაუწესონ. იმდენად მიუახლოვდა მას სანქციები, მისი ოჯახის წევრები უკრაინაში დაასანქცირეს, არის მოლოდინი, რომ ამას დასავლეთიც გაიმეორებს და ეს ძალიან ხელშესახები გახდა უკვე. ამიტომ ივანიშვილი დასავლეთთან მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობით ვაჭრობს. თუმცა აქ შეიძლება ისეთი შეცდომა მოუვიდეს, რომელიც ასევე დამღუპველი აღმოჩნდეს მისთვისაც.

***– სააკაშვილს რომ რამე მოუვიდეს, ივანიშვილიც ცუდ სიტუაციაში აღმოჩნდება?***

– ცუდი არ ჰქვია ამას!

***– 3 დეკემბერს რომ აქცია დაგეგმა ლევან ხაბეიშვილმა, თუ მიდიხართ ამ აქციაზე?***

– პირადად მე მივიღებ ყველა აქციაში მონაწილეობას, სადაც კი მიხეილ სააკაშვილის საკითხი იქნება დასმული და ვინც არ უნდა მოაწყოს ეს. თუმცა, სასურველი იქნებოდა, რომ ეს აქცია მოეწყო პარტიას და არა პარტიის ერთ ჯგუფს. მაგრამ, რადგან ასე გაკეთდა და პარტიაში ბევრი რამ ვერ ხდება კოორდინირებულად ცნობილი მოვლენების, გარკვეული შიდა დაპირისპირების გამო, ამიტომ, რაც მოხდა, ის მოხდა, ვინც არ უნდა გამოაცხადოს ეს აქცია, პარტია მაინც მიიღებს მონაწილეობას.

***– მიხეილ სააკაშვილმა რომ თქვა, არ მჭირდება პოლიტიკური აქტივობაო?***

– ამ შემთხვევაში გავითვალისწინებთ მიხეილ სააკაშვილის თხოვნას, ეს არ იქნება პოლიტიკური ხასიათის, არ იქნება გაკეთებული პოლიტიკური ხასიათის განცხადებები. ერთადერთ საკითხზე იქნება საუბარი – მის ჯანმრთელობაზე.

# მარიამ ჯიშკარიანი სააკაშვილზე – „მოსალოდნელია გარდაცვალებაც“



„მოსალოდნელია ადამიანის გარდაცვალებაც კი“ – ამის შესახებ უკრაინის საელჩოში გამართული შეხვედრის შემდეგ ცენტრ „ემპათიის“ ხელმძღვანელი მარიამ ჯიშკარიანი საუბრობს, რომელმაც საელჩოს წარმომადგენლებს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა გააცნო.

– მივაწოდეთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და ჩვენ ი მოსაზრებები და ჩვენი დასკვნები იმის თაობაზე რომ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა არის ძალიან მძიმე განიცდის გაუარესებას და მოსალოდნელია ადამიანის გარდაცვალებაც კი თუკი არ იქნება მიღებული ადეკვატური ზომები. და ეს ადეკვატური ზომები ჩვენ მიგვაჩნია და ყველა ჩვენ ექსპერტს, მათ შორის, უცხოელ ექსპერტს რომ საჭირო არის მისი გაყვანა სასწრაფოდ რაიმე დიდ კლინიკაში...

ძალიან შეშფოთებულები არიან და ჩვენ ვფიქრობთ, რომ მიიღებენ ადეკვატურ ზომებს. მე ვფიქრობ, რომ ეს არის სადიზმი, დაელოდო როდის დამძიმდება ადამიანი და როდის მივა სიკვდილის კარამდე... მიხვიდე და დაელოდო ადამიანი სარეანიმაციო როდის გახდება და ყველა ორგანო როდის გამოვა მწყობრიდან, ეს არის სადიზმი, მეტი არაფერი, – ამბობს მარიამ ჯიშკარიანი.

# კახა კალაძე: „ველოდები სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას“



თბილისის მერი კახა კალაძე სოციალური ქსელით განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

– „ტვ პირველის“ საქმესთან დაკავშირებით, პირველ რიგში, ვიტყვი იმას, რომ მსგავსი საჩივრით სასამართლო პროცესის მოგება საერთოდ არ მიმაჩნია ვინმეს გამარჯვებად. რეალურად, გაცილებით მძიმე ფაქტი დგას ამ ყველაფრის უკან. მხედველობაში მაქვს ფეიკნიუსები, ცილისწამების შემცველი განცხადებები, რომლებიც დღეს, სამწუხაროდ, ე.წ. კრიტიკული მედიის მასაზრდოებელია.

ვინმე იტყვის, რა მოხდა, არ მოგწონს და არ გადართო ამ არხზე, მაგრამ არაა ეს სწორი მიდგომა. თუ გვინდა, შევდგეთ პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოებად, არ უნდა მივცეთ არავის უფლება, ნორმად აქციოს ტყუილი, შანტაჟი და დეზინფორმაციის გავრცელება.

ყველაზე მეტად ეს გაზარალებთ თქვენ, ქართულ მედიას, რადგან, ის რაც გადის ტელეეთერებით ან იწერება საინფორმაციო საშუალებებში, პირდაპირ შეეხება თითოეულ თქვენგანს. საბოლოოდ კი მედიის ენით გადმოცემული აგრესია და სიძულვილი ილექება საზოგადოებაში.

ამდენად, მე მხოლოდ ვისურვებდი, რომ ეს პრეცედენტი იყოს ბოლო, პატივი ვცეთ მაყურებელს, მკითხველს, მსმენელს და არ მოვატყუოთ ის.

რაც შეეხება უშუალოდ „ტვ პირველს“, რა თქმა უნდა, არა მაქვს მოლოდინი, რომ არხი შეცვლის პოლიტიკას და აღარ იქნება კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის რუპორი, მათი დაკვეთების შემსრულებელი. არც იმის მოლოდინი მაქვს, რომ სხვა დროს აღარ მოგვიწევს სასამართლოში შეხვედრა.

ველოდები სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, მათ მიერ გავრცელებული ტყუილის საჯარო უარყოფას.

# მონაზონი, რომელიც დააყაჩაღეს, კლინიკიდან გაწერეს

მონაზონი, რომელიც რამდენიმე დღის წინ ჯგუფური ძალადობის მსხვერპლი გახდა, კლინიკიდან გაწერეს.

ამის შესახებ ინფორმაციას კავკასიის მედიცინის ცენტრში ადასტურებენ.

ცნობისთვის, ხაშურისა და სურამის ეპარქიის დედათა მონასტერში 25 ნოემბერს ორი პირი შეიჭრა. ისინი მონაზონს ფიზიკურად გაუსწორდნენ.

ხაშურში დედათა მონასტრის მონაზონზე ძალადობაში ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ.

# პირს, რომელმაც გლდანში ნათესავი ქალი მოკლა, 18 წლით პატიმრობა მიესაჯა

პროკურატურის განცხადებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ გლდანში ნათესავი ქალის მკვლელობაში ბრალდებულს, რომელმაც ცხედარს მოგვიანებით ცეცხლი წაუკიდა და ბინიდან ტელევიზორი წაიღო, სასჯელის სახედ 18 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

– გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2022 წლის 16 მარტს თბილისში, გლდანის რაიონში, ანგარების მოტივით ბრალდებულმა ნათესავი ქალი, მისსავე ბინაში დანით კისრის არეში დაჭრა. მიყენებული დაზიანების შედეგად დაზარალებული ადგილზე გარდაიცვალა. ბრალდებულმა კვალის დაფარვის მიზნით გარდაცვლილს ბენზინი დაასხა და ცეცხლი წაუკიდა, ასევე, დაეუფლა გარდაცვლილის კუთვნილ ტელევიზორს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, – წერია უწყების განცხადებაში.

სამართალდამცველებმა ბრალდებული 17 მარტს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა ჩადენილი ანგარებით) წარედგინა.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „სააკაშვილი საკუთარი გარემოცვის მძევალიც გახდა“

## ვახტანგ ძაბირაძე: „მიხეილ სააკაშვილი დღეს, როგორც პოლიტიკური ფიგურა, განადგურებულია“



ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო ვახტანგ, ედუარდ სააკაშვილი ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილი ძალიან ნანობს საქართველოში ჩამოსვლას. ფიქრობთ, დაბრუნების გადაწყვეტილება მისი მხრიდან პოლიტიკური შეცდომა იყო?***

– რა თქმა უნდა, შეცდომა დაუშვა. როგორც ჩანს, მოვლენათა ასეთ განვითარებას არ ელოდა და არც არანაირი სათადარიგო გათვლა არ ჰქონდა. სააკაშვილი დაარწმუნეს, რომ თუ დაბრუნდებოდა, ხალხი ქუჩაში გამოვიდოდა და ქუჩაშივე გადასცემდა ძალაუფლებას, რაც დიდი შეცდომა იყო. ასეთი ტრიუმფის ნაცვლად მიიღო ციხე და დღეს უკვე, როგორც მისი ახლობლები გვეუბნებიან, სიკვდილს ებრძვის. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ საერთოდ არ აინტერესებდეს პოლიტიკა და აქეთკენ გახედვაც კი არ უნდოდეს.

***– როგორ ფიქრობთ, ვინც ამაში არწმუნებდა, იმ ხალხის მოტივაცია რა იყო, სააკაშვილი პოლიტიკურად გადაერჩინათ თუ რა?***

– ამ ადამიანებს მინიმუმ საკუთარი ინტერესები ამოძრავებდათ ან საერთოდ ვერ ერკვევიან პოლიტიკაში. წარმოუდგენელია, პოლიტიკური პროცესების ანალიზს ახდენდე და ვერ მიხვდე იმას, რომ სააკაშვილს ხელისუფლებას ლანგრით არავინ მიართმევდა. ამისთვის არავინ არ გამოვიდოდა ქუჩაში. არჩევნებზე მისვლა და ხმის მიცემა ერთია და მეორეა ქუჩაში გამოსვლა და ლიდერისთვის ბრძოლა. სააკაშვილი თავისი გარემოცვის მძევალიც გახდა.

***– მისმა შვილმა თქვა, რომ ინფორმაციას ფილტრავდა და, რაც აწყობდა, იმას იღებდა.***

– როგორც ჩანს, ასეც იყო. დაარწმუნეს და თან ადამიანს რაც გინდა მოისმინო, იმას ისმენ. ძალიან სასიამოვნო მოსასმენია, როდესაც გეუბნებიან, ოღონდ შენ გადაწყვიტე ჩამოსვლა და მთელი საქართველო ფეხზე დადგება. ვერავინ გაბედავს შენს დაკავებას და, თუ დაგაკავეს, ხალხი ციხიდან თავად გამოგიყვანსო. ვიმეორებ, ეს ძალიან სასიამოვნო მოსასმენია, თან ისეთი ლიდერისთვის, როგორიც სააკაშვილია, მაგრამ რეალობა, როგორც ვნახეთ, სრულიად სხვა აღმოჩნდა. დაკავების ღამეს ქუჩაში არავინ რომ არ გამოვიდა, მაშინვე უნდა მიმხვდარიყვნენ, რომ მიხეილ სააკაშვილი, როგორც ლიდერი, ხალხს უკვე აღარ აინტერესებდა. ხმის მიცემა და არჩევნებზე პარტიის შემოხაზვა და ქუჩაში ბრძოლა ორი სხვადასხვა რამეა.

არსებობს გარკვეული ელიტა, რომელიც ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს ხელისუფლებაში ან ხელისუფლებასთან ახლოს იყო. გასაგებია, ამ ხალხს აქვს მოტივაცია, რომ მხარი დაუჭირონ სააკაშვილს, მაგრამ ამ ხალხის აქტიურობა არ არის საკმარისი, რადგან საუბარია არა მასებზე, არამედ გარკვეულ ელიტაზე. ეს გამოჩნდა თუნდაც იმ რამდენიმე აქციაზე, რომლებიც ჩატარდა. რამდენი ადამიანი იყოს მისული?! ამიტომ ასეთი აქციების ჩატარება არ არის მომგებიანი, მეტიც, ხელისუფლების წისქვილზე უფრო ასხამს წყალს.

მიხეილ სააკაშვილი დღეს, როგორც პოლიტიკური ფიგურა, განადგურებულია, საერთოდ არანაირ ხიფათს არ წარმოადგენს ხელისუფლებისთვის. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ხაბეიშვილი ბევრად უფრო სახიფათო შეიძლება იყოს. ამიტომ პოლიტიკურ პროცესებზე ქვეყნის შიგნით სააკაშვილის გავლენა, შეიძლება ითქვას, ნულის ტოლია. რაც შეეხება, ღმერთმა დაიფაროს, ფატალურ შედეგს, ამას თავად ხელისუფლება არ დაუშვებს. ეს უკვე ძალიან დიდი, ასე ვთქვათ, ზედმეტი პრობლემა იქნებოდა.

**„სააკაშვილის სასამართლოში, გვერდით შენობაში გადაყვანა ჯანმრთელობისთვის ხიფათს შეიცავდა, საზღვარგარეთ გადაყვანა უფრო სახიფათო არ იქნება?! ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ“**

***– ამიტომ აკონტროლებს მის ჯანმრთელობას?***

– ალბათ. წარმოუდგენელია, ვერ აცნობიერებდნენ, რა შეიძლება მოჰყვეს მოვლენათა ასეთ განვითარებას. არა, დარწმუნებული ვარ, ამას არ დაუშვებენ.

***– თუ პროცესებზე არანაირ გავლენას არ ახდენს?***

– გარე ფაქტორებზე ძალიან დიდი გავლენა შეიძლება იქონიოს. ამიტომ ის, თუ როგორ „დალაგდა“ „ვივამედის“ განცხადება, ის, რომ „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ კანონპროექტი ვენეციის კომისიაში გადაიგზავნა და კიდევ სხვა განცხადებები, მაფიქრებინებს, რომ შეიძლება ხელისუფლებამ მიიღოს გადაწყვეტილება და სააკაშვილი სამკურნალოდ საზღვარგარეთ მართლაც გადაიყვანოს, არა იმიტომ, რომ საზოგადოებას უწევს ანგარიშს და ეს აღელვებს, არამედ სწორედ დასავლეთის მოთხოვნის გათვალისწინებით.

***– მიუხედავად იმისა, როგორია დასავლეთისადმი დამოკიდებულება? მიუხედავად ღიად ნეგატიური პოზიციისა?***

– დიახ, მიუხედავად მკაფიოდ ნეგატიური პოზიციისა. დასავლეთის დამოკიდებულება ივანიშვილისადმი მთლად ისე არ არის, რომ არ აღელვებდეთ. ივანიშვილს აღელვებს, როგორი იქნება მის მიმართ დასავლეთის პოზიცია და დამოკიდებულება. ამიტომ სწორედ დასავლეთის მოთხოვნით შეიძლება გადაიყვანონ სააკაშვილი სამკურნალოდ უცხოეთში. ალბათ ამ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო, რომელიც იქნება ხელისუფლებასთან შეთანხმებული, ისევე, როგორც, ვფიქრობ, „ვივამედის“ განცხადება კანცელარიასთან იყო შეთანხმებული. თუმცა, ლოგიკა ხომ უნდა არსებობდეს – თუ ორი დღის წინ სასამართლოში, გვერდით შენობაში გადაყვანა ჯანმრთელობისთვის ხიფათს შეიცავდა, საზღვარგარეთ გადაყვანა უფრო სახიფათო არ იქნება?! ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ და როგორ იმოქმედებენ.

# ანდრია გვიდიანი: „მომავალი წლის ბიუჯეტი ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს სათანადოდ პასუხობს“

პარლამენტი 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის დაკორექტირებულ ვერსიას განიხილავს. 28 ნოემბრის მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა იმ მიმართულებებზე გაამახვილა ყურადღება, რომლებიც მომავალი წლის ბიუჯეტში პრიორიტეტულია.

რამდენად პასუხობს ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს 2023 წლის ბიუჯეტი და რა მნიშვნელობა აქვს მას საზოგადოების კეთილდღეობის დონის ასამაღლებლად, ამ და სხვა საკითხებზე „კვირას“ ეკონომიკის ექსპერტი ანდრია გვიდიანი ესაუბრა.

მისი შეფასებით, 2023 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია საზოგადოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ყველა პროექტის განხორციელება.

– მნიშვნელოვანი არის, რომ დაკორექტირებულ ვერსიაში გაზრდილია საგადასახადო შემოსავლები, მათ შორის, გაზრდილი არის ხარჯები. ვინაიდან ბიუჯეტი იქნება 25 მილიარდი ლარი, ძირითადად, ყველა გამოწვევას, რაც არის საზოგადოების წინაშე, დაბალანსებულად პასუხობს. ეს იქნება სოციალური მიმართულება, თავდაცვა თუ სხვა. შესაბამისად, მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული არის ყველა იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება, რომელიც საზოგადოებისთვის საინტერესოა.



ზოგადად, 2023 წლის ბიუჯეტის შეფასება შეიძლება პოზიტიურად. გარდა ხარჯებისა, მნიშვნელოვანი ფაქტორები არის გათვალისწინებული მაკროეკონომიკური სტაბილურობის თვალსაზრისით, შემცირებული არის ბიუჯეტის დეფიციტი. ამასთან, შემცირებულია საგარეო ვალი და ადეკვატურობის ფარგლებში დაბრუნდა პოსტპანდემიურ პირობებში, გარდა ვალისა და გარდა ბიუჯეტის დეფიციტისა, სხვა მაკროეკონომიკური პარამეტრები. ეს ძალიან მნიშვნელოვანია სტაბილური განვითარებისთვის. შესაბამისად, მაკროეკონომიკური სტაბილურობის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი პარამეტრები არის წარმოდგენილი მომავალი წლის ბიუჯეტში. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ მომავალი წლის ბიუჯეტი ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს სათანადოდ პასუხობს, – ამბობს ექსპერტი.

კითხვაზე, რამ განაპირობა ბიუჯეტის სოციალური დატვირთულობა და რამდენად აისახება ეს ეკონომიკურ განვითარებაზე, გვიდიანი ამბობს, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მთავარ აქცენტებს სოციალურ ხარჯებზე აკეთებს, რაც პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და სოციალური დაცულობის გაძლიერება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ასპექტია.

სოციალური ხარჯების ზრდა პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. სწორედ ეკონომიკურმა ზრდამ მისცა მთავრობას იმის შესაძლებლობა, რომ სოციალური ხარჯები წინ წამოეწია. იყო საუბარი სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარების ზრდაზე, იგივე დეკრეტული ანაზღაურების გაორმაგებაზე, ასევე, სხვა ბევრი საინტერესო ინიციატივა არის წარმოდგენილი, რომელიც რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნისთვის, რომლის მოსახლეობასაც ასეთი დახმარებები ესაჭიროება.

შესაბამისად, კიდევ განვმეორდები, რომ სოციალური ხარჯების ზრდა არის მთავრობის პოლიტიკური გადაწყვეტილება. ბოლო წლების მაგალითზე, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას პრაქტიკულად ყოველ წელს ჰქონდა მთავარი აქცენტები სოციალური ხარჯების ზრდაზე და ზოგადად, სოციალური დაცულობის გაძლიერებაზე. შესაბამისად, მომავალი წლის ბიუჯეტიც არ არის გამონაკლისი და მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მოქალაქეთა სოციალური დაცულობა იყოს უფრო გაძლიერებული და უფრო მეტად უპასუხოს იმ გამოწვევებს, რაც საზოგადოებაში არსებობს. ფაქტია, რომ ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც სახელმწიფოსგან პირდაპირ დახმარებას საჭიროებენ, შესაბამისად, მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმ შესაძლებლობიდან გამომდინარე, რასაც ბიუჯეტის მოცულობა იძლევა. ამიტომ, მიმაჩნია, რომ საზოგადოებისთვის ძალიან საინტერესო და საჭირო ინიციატივებია გათვალისწინებული ბიუჯეტში, – აცხადებს გვიდიანი.

# დავით ტაბიძე: „მუნიციპალური განვითარების ფონდი ქვეყნის მასშტაბით 885 საბავშვო ბაღის მშენებლობასა და რეაბილიტაციას იწყებს“



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 28 ნოემბრის მთავრობის სხდომაზე 2023 წლის გაზრდილი ბიუჯეტი წარადგინა, რომელიც რამდენიმე მიმართულებას მოიცავს. მომავალი წლის ბიუჯეტი ისეთ საკითხებს ეთმობა, როგორებიცაა სოციალურად დაუცველთა დახმარება, დევნილთა ბინებით უზრუნველყოფა, დასაქმების პროგრამა და განათლების რეფორმა. ბიუჯეტი 30 ნოემბერს პარლამენტს წარედგინა.

განათლების რეფორმა საბავშვო ბაღების მშენებლობასა და რეაბილიტაციას გულისხმობს. იმის გასარკვევად, თუ როგორ განხორციელდება ახალი პროგრამა, პია.გე მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელ დირექტორს, დავით ტაბიძეს დაუკავშირდა.

მისი თქმით, 2030 წლისთვის, მთელი ქვეყნის მასშტაბით თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბაღები იქნება.

– ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამა რამდენიმე ეტაპად განხორციელდება, რასაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1.3 მილიარდი ლარი მოხმარდება. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, აქტიურად არის ჩართული ბაღების მშენებლობა რეაბილიტაციის პროგრამაში და სარეაბილიტაციო ბაღების შერჩევის პროცესში.

პირველი ეტაპის სამუშაოებისთვის 100 მილიონი ლარი 2023 წლის ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია. ახალი პროგრამის ფარგლებში, საბავშვო ბაღები თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აშენდება და რეაბილიტირდება. მოეწყობა ბაღების შიდა და გარე სივრცეები, რეკრეაციული ზონები, კომუნიკაციები და სველი წერტილები. ბაღები სრულად იქნება ადაპტირებული განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთათვის. პროგრამის დასრულების შემდეგ, 2030 წლისთვის, მთელი ქვეყნის მასშტაბით თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბაღები გვექნება, – განაცხადა ტაბიძემ.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ახალი პროგრამა, ქვეყნის მასშტაბით, 885 საბავშვო ბაღის და 500 სკოლის მშენებლობასა და რეაბილიტაციას ითვალისწინებს.

– კიდევ მინდა გამოვყო რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი. განათლების მიმართულებით ჩვენ, გახსოვთ, რომ 400 მილიონი ლარით გავზარდეთ ბიუჯეტი. ამის ფარგლებში, ჩვენ გვაქვს დაგეგმილი 500 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მაგრამ ჩვენ დამატებით კიდევ 150 მილიონ ლარზე მეტს მივმართავთ განათლების დაფინანსებაზე.

მინდა, რომ გაცნობოთ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების თაობაზე. იცით, რომ ბაღები ძალიან სავალალო მდგომარეობაშია ქვეყნის მასშტაბით. ბატონმა ირაკლი ქარსელაძემ, ჩემი დავალებით, დაამუშავა ეს საკითხი. გამოიკვეთა, რომ 885 საბავშვო ბაღი საჭიროებს მშენებლობა-რეაბილიტაციას. ამიტომ, ჩვენ გადავწყვიტეთ, დავიწყოთ საბავშვო ბაღების მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროგრამა. ეს პროგრამა განხორციელდება სამ ეტაპად და პირველ ეტაპს დავიწყებთ 2023 წლის 1 იანვრიდან. ამ პროგრამის დაფინანსებაში მიიმართება 100 მილიონი ლარი. სულ, ჯამში, დაგვიჯდება 1,3 მილიარდი ლარი და სრულიად რეაბილიტირდება და აშენდება ახალი ბაღები მთელი ქვეყნის მასშტაბით. გარდა ამისა, 30 მილიონ ლარზე მეტი მიიმართება სკოლებში კომპიუტერული ლაბორატორიების მოწყობისთვის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, – აღნიშნა პრემიერმა.

# „რუსეთის ბრძოლისუნარიანი ნაწილები მწყობრიდან 70-75%-ით არის გამოყვანილი“

## უკრაინელი გენერალი: „რუსეთი ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურიდან წასვლის გეგმებს ამუშავებს“

მარიამ მჭედლიშვილი

**სხვადასხვა საკითხით დაკავებულ საქართველოს პოლიტიკურ სპექტრს ავიწყდება, რომ საქართველოს მომავალი დამოკიდებულია მის ფარგლებს გარეთ განვითარებულ მოვლენებზე. რა ხდება უკრაინის ფრონტზე? შესაძლებელია თუ არა, რომ ოკუპანტმა დატოვოს ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგური? რატომ არ გამოსდის დამპყრობელს ატომური შანტაჟი? როგორია რუსეთის სამხედრო პოტენციალი? — ამ საკითხებზე უკრაინულ მედიას ესაუბრება უკრაინელი გენერალი ნიკოლაი მალომუჟი.**

***– „ენერგოატომის“ პრეზიდენტმა პიოტრ კოტინმა ივარაუდა, რომ ოკუპანტმა შეიძლება დატოვოს ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგური. მისი შეფასებით, ამას ახლო მომავალში არ უნდა ველოდოთ. ასეთი ვარიანტი შესაძლებლად მიგაჩნიათ?***

– რუსეთის ფედერაციას ესმის, რომ მას მაინც მოუწევს ხერსონის ოლქის მარცხენა სანაპიროსა და, შესაძლებელია, ზაპოროჟიეს ოლქის დატოვება. მათ არაერთხელ განაცხადეს, რომ უკრაინის არმია ამ მიმართულებით განახორციელებს სტრატეგიული ხასიათის შეტევით ოპერაციას. დაფიქსირებულია კოლაბორანტების გასვლის ფაქტები ამ ოლქებიდან ყირიმისა და რუსეთის ტერიტორიებზე. ეს იმის სიგნალია, რომ ჩვენი ჯარების მხრიდან ამ ტერიტორიების გათავისუფლება შესაძლებელია.

გახსნილია ასევე რუსეთის ზრახვები იმის თაობაზე, რომ ის ცდილობდა მსოფლიოს დაშანტაჟებას ბირთვული საფრთხით ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურის მხრიდან. ის უკრაინას აბრალებდა ამ სადგურზე აფეთქების დაგეგმვას, მის გაჩერებასა და ა.შ. ეს თამაში დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა. ის ჩავარდა, ვინაიდან შემუშავებულია კონტროლის მექანიზმი – როგორც საერთაშორისო ოპერატიული, ისე „მაგატეს“ სპეციალისტების კონტროლი ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე რეალური სიტუაციის გასარკვევად. „მაგატეს“ სპეციალისტები იქ იმყოფებიან და მათ მშვენივრად იციან, რა ხდება და ვინ არის დამნაშავე. ეს ესმით მსოფლიოს ლიდერებსაც. ამიტომ პუტინზე არაოფიციალურად ხორციელდება მძლავრი ზეწოლა. ბირთვული უსაფრთხოება ძალიან მგრძნობიარე თემაა ყველა ქვეყნისათვის. ამგვარი ზეწოლა ჩვენი ჯარების მხრიდან, ახალი შეტევის პერსპექტივასთან ერთად, რასაკვირველია, გავლენას ახდენს რუსეთის ფედერაციის პოზიციაზე.



დიახ, ისინი ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურიდან მალე არ წავლენ. რუსები შეეცდებიან, შეინარჩუნონ საკუთარი პოზიციები და მოახდინონ სიტუაციის პროვოცირება, განსაკუთრებით სროლებით და ეს დააბრალონ უკრაინის მხარეს.

რუსეთის ფედერაციაზე ხანგრძლივი ზეწოლის კვალდაკვალ, მათ შორის ბირთვული კლუბის წევრების მხრიდან, პუტინი შესაძლოა აიძულონ, გამოიჩინოს „კეთილი ნება“ და გადასცეს ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგური „მაგატეს“ საერთაშორისო კონტროლისათვის. პროცესი მიმდინარეობს. ის შუა სტადიაზეა. რუსეთი უკვე ამუშავებს გეგმებს, თუ როგორ გავა ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურიდან და რა ექნება ამის სანაცვლოდ.

***– არის სხვა უკრაინული ელექტროსადგურები, რომლებსაც საშიშროება ემუქრებათ ელექტროენერგიის უეცარი გამორთვის, მტრის მიერ ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დანგრევის გამო. როგორ უნდა აღიკვეთოს მოვლენათა განვითარების ყველაზე უარესი სცენარი?***

– პირველ რიგში, თავიდან უნდა იქნეს აცილებული მასობრივი სროლები. აქ საკითხი წყდება რუსეთზე გლობალური ზეწოლის დონეზე. ეს არის დაუფარავი გენოციდი და ტერორი, რომელიც არ არის დასაბუთებული არანაირი სამხედრო მოტივით. ეს არის კონკრეტული დანაშაული უკრაინელი ხალხის წინააღმდეგ.

ატომურ ელექტროსადგურებს თავიანთი ტექნოლოგიური ციკლი აქვთ. მგონია, რომ რუსეთი ატომურ ელექტროსადგურებს არ დაარტყამს. ეს იქნება ბირთვული უსაფრთხოების საერთაშორისო ნორმების პირდაპირი დარღვევა. ამიტომ მიმართა მტერმა თავისი დარტყმები ტრანსფორმატორული ქვესადგურებისკენ, ელექტროენერგიის მიწოდების სისტემებისკენ. კრიტიკულ სიტუაციებში შეიძლება დენი ატომურ ელექტროსადგურშიც გაითიშოს.

***– ესტონეთის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ რუსეთიდან საფრთხე არ შემცირებულა, მიუხედავად იმისა, რომ მტერმა მასშტაბური დანაკარგი განიცადა. გვახსოვს, პირველ „რამშტაინზე“ დაისვა ამოცანა რუსეთის ფედერაციის არმიის იმდენად დასუსტების შესახებ, რომ მას აღარ შეეძლოს აგრესიის განხორციელება. ჯერჯერობით ვერ ვხედავთ, რომ ეს ამოცანა სრულდებოდეს. იქნებ დასავლეთს სჭირდება ამ ომში რუსეთის დამარცხების რბილი ვარიანტი?***

– დიახ, დასავლეთი არ ცდილობს, მოგვცეს ისეთი შეიარაღება, რომელიც უზრუნველყოფდა ჩვენს სწრაფ გამარჯვებას. დასავლეთი ერიდება რუსეთთან ღია დაპირისპირებაში შესვლასა და გლობალური ომის პროვოცირებას. უკრაინას ეწევა ფართო სპექტრის დახმარება, მაგრამ სტრატეგიული შეიარაღება აქამდე არ მიგვიღია. ამასთან, თანდათან იცვლება ნატოს ცალკეული ქვეყნის პოზიცია. ბრიტანეთის პრემიერმა დააანონსა 100 კილომეტრზე მეტი რადიუსის მოქმედების რაკეტების მოწოდება უკრაინისათვის.

ესტონეთის თავდაცვის მინისტრს არ ვეთანხმები რუსეთის ფედერაციის არმიის პოტენციალის შეფასებაში. ის ძლიერად შეირყა, განსაკუთრებით ბრძოლისუნარიანობის თვალსაზრისით. რუსეთის ბრძოლისუნარიანი ნაწილები მწყობრიდან გამოყვანილია, ფაქტობრივად, 70-75%-ით. ზოგიერთი საერთოდ დაიშალა. მობილიზებულები მოუმზადებელი ხალხია. მათ საჩქაროდ წვრთნიან. სამხედრო ფორმატში ისინი არ მონაწილეობენ.

სამაგიეროდ, უკრაინის არმიას საბრძოლო მოქმედებების უზარმაზარი გამოცდილება და უზუსტესი იარაღი აქვს. თუ ჩვენ განვახორციელებთ წარმატებულ შეტევით ოპერაციებს უახლოეს თვეებში, მტრის ბანაკში პანიკა ატყდება. მაშინ რუსეთის ხელმძღვანელობაში დაფიქრდებიან იმაზე, თუ როგორ მოიშორონ პუტინი, მაგალითად, პენსიაზე გაუშვან ან სხვა გზა გამონახონ. შესაძლოა, სხვა ადამიანებმა დაიწყონ მოლაპარაკება მშვიდობის ახალ პირობებზე.

---

# „ვანო მერაბიშვილს სურს, ნაციონალების ქონება სამართავად თავად დარჩეს“

## მამუკა ტუსკაძე: „სააკაშვილი ნამდვილად ავადაა. ექიმების კვლევების ნაწილი გამოქვეყნდა, ვესაუბრე ექიმებსაც და მას მართლა მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობა აქვს“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი მამუკა ტუსკაძე პასუხობს.**

***– ბატონო მამუკა, ნაცმოძრაობაში მიმდინარე პროცესები დიდი განხილვის თემაა. გარკვეული პირები სააკაშვილის პარტიის თავმჯდომარეობისთვის იბრძვიან. თქვენ როგორ აფასებთ იმ ვითარებას, რომელიც დღეს ნაცმოძრაობაშია? ეს პროცესები რასთან არის დაკავშირებული? რაღაც პერიოდში მელია ძალიან აქტიური იყო, რასაც პრემიერის გადადგომაც მოჰყვა. ახლა რამ მოამწიფა მელიას უკუგდება?***

– პარტიის შიგნით რა მოხდა, ალბათ მალე გახდება ცნობილი. ნაცმოძრაობა რეალურად მხოლოდ სააკაშვილის პარტიაა. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა კი ჰქვია, ქართულად ტრანსკრიფციით, თითქოს ერთიანი ეროვნული მოძრაობაა, მაგრამ სინამდვილეში ამ მოძრაობას ქართულობისა და ეროვნულობის არავითარი ნიშანწყალი არა აქვს.

ეს ერთი ადამიანის, მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური ორგანიზაციაა. ამიტომ მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობამ და მისმა განცხადებამ, პოლიტიკაში ყოფნა აღარ მინდაო (რატომ და რისთვის განაცხადა, სხვა თემაა), პარტიის პოლიტიკურ ლიდერებში დაბნეულობა გამოიწვია. სწორედ სააკაშვილის განცხადების გამო შეიქმნა ის ვითარება, რომელიც ნაცმოძრაობაშია.

სააკაშვილმა თქვა, რომ ის მზად არის, პოლიტიკიდან წავიდეს და ჯანმრთელობას მიხედოს, ცხადია, თუ გაათავისუფლებენ.

***– დღეს ეგ საკითხიც აქტუალურია. სააკაშვილი უნდა გაათავისუფლონ?***

– სააკაშვილი არ უნდა გათავისუფლდეს და სასჯელი უნდა მოიხადოს. ჩემი პოზიცია ასეთია. ამასობაში პარტია დაიშლება. ნაცმოძრაობას დაშლა ისედაც დაწყებული ჰქონდა. მისგან უკვე ოთხი პოლიტიკური ორგანიზაციაა წარმოქმნილი. ალბათ პარტიის დაშლა ახლაც გაგრძელდება.

გარდა ამისა, დავა პარტიის ქონებაზეც მიმდინარეობს. პარტიას საკუთრებაში უამრავი ქონება გააჩნია, მათ შორის, ცენტრალური ოფისი და რეგიონული ოფისები, რომლებიც მათ საკუთრებაშია.

***– ნაძარცვი ქონება?***

– რა თქმა უნდა, 9-წლიანი მმართველობის პერიოდში ნაძარცვი და ძალით ღამე გადაფორმებული ქონება პარტიის საკუთრებაშია. ვინმემ ამოიღოს და ნახოს, პარტიის საკუთრებაში რამდენი ქონებაა. მე ეს ამოღებული და ნანახი მაქვს. პარტიის საკუთრებაში დიდი ქონებაა.

***– შეგიძლიათ ჩამოთვალოთ?***

– თბილისში, კახეთის გზატკეცილზე მდებარე პარტიის ცენტრალური ოფისი, რომელიც დაახლოებით 2 ათასი კვადრატია, რომელიც პარტიის საკუთრებაა და 1 მილიონი ლარი ღირს. გარდა ამისა, ქუთაისში აქვთ ცენტრალური ოფისი, რომელიც პრესტიჟულ ადგილზეა, ალბათ, 100 ათასი დოლარი ღირს, მეტი თუ არა. თბილისში რამდენიმე ოფისს ფლობენ. ასევე პარტიას სახელმწიფოსაგან ოფიციალურად მილიონ 200 ათასი ლარი წლიური დაფინანსება ეძლევა.

პარტიას მკაფიოდ მხარდაჭერილი ამომრჩეველი ჰყავს, რომელიც, სააკაშვილიდან გამომდინარე, ამ პარტიას ირჩევს. ახლა კი გაიხლიჩება, მაგრამ ცდილობენ, შეინარჩუნონ.

ნაცმოძრაობა ხელისუფლებაში ნამყოფი პარტიაა. ამ პარტიამ ხომ ხალხი გაძარცვა, დააყაჩაღა, დახოცა, უდანაშაულო ადამიანები დააპატიმრა, ადამიანები აწამა. ამიტომ ამ პარტიას რესურსი აქვს და ამიტომ არის დღეს ის პოლიტიკურ სივრცეში.

როგორც ჩანს, ნიკა მელია ნაცმოძრაობაში მეტად ლიბერალური ფრთის წარმომადგენელი აღმოჩნდა.

***– ხომ გვახსოვს მელიას რადიკალიზმი: საქვეყნოდ სამაჯური მოიხსნა და ხალხში გადააგდო, შემდეგ ნაცმოძრაობის მთელი აქტივი პარტიის ოფისში იყო შეკრებილი და პოლიციას არ უშვებდა, სასამართლოსა და სახელმწიფოს გადაწყვეტილებებს ეწინააღმდეგებოდნენ. ახლა მელია რატომ აღარ უნდათ, რა შეცდომა დაუშვა?***



– სავარაუდოდ, ეს ყველაფერი მერაბიშვილის ციხიდან გათავისუფლების შემდეგ დაიწყო და ამ დონემდე მივიდა. ვანო მერაბიშვილს ნამდვილად უნდოდა, რომ პარტიის ქონება სამართავად თავად დარჩენოდა.

ნელა-ნელა საქმე აქამდე მივიდა. ვანო მერაბიშვილი სააშკარაოზე გამოვიდა. კეზერაშვილი მერაბიშვილის ჯიბეა. აღნიშნული პირები სააშკარაოზე რომ გამოვიდნენ, მელიამ ეს ტელევიზიითა და პრესით გააპროტესტა. ამის გამო მელიას დაუპირისპირდნენ. ხაბეიშვილი კი ჩვეულებრივი ჯამბაზია.

***– ერთ-ერთი კანდიდატი მუმლაძეც არის.***

– ამ ეტაპზე ჯამბაზი აწყობთ.

***– თქვენ თქვით, კეზერაშვილი მერაბიშვილის ჯიბეაო. მერაბიშვილი ან კეზერაშვილი სააკაშვილის ჯიბე არ არის? ხომ ვიცით, სააკაშვილის გარეშე კეზერაშვილი და მერაბიშვილი ერთ თეთრს ვერ წაიღებდნენ.***

– რა თქმა უნდა. სააკაშვილის დროს საკრებულოში კეზერაშვილი ჩვეულებრივი თანაშემწე იყო, რომელიც საკანცელარიო საქმიანობით იყო დაკავებული, რაღაც წერილი რეგისტრაციაში უნდა გაეტარებინა. კეზერაშვილის ძირითადი საქმე 2002-2003 წლებში სააკაშვილთან მუშაობის დროს ეს იყო.

შემდეგ და შემდეგ სააკაშვილმა კეზერაშვილი დააწინაურა. რა თქმა უნდა, მილიონებს (რომელიც ქართული ჯარის ხარჯზე და იარაღში ნაშოვნი მილიონებია), ანუ ფარულ მილიონებს პრეზიდენტის გარეშე მინისტრი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გააკეთებდა. პრეზიდენტისაგან მწვანე ჰქონდა ანთებული. მას კარტბლანში ჰქონდა.

სააკაშვილი სასჯელს ამის გამო უნდა იხდიდეს. უბედურება ისაა, რომ ამის გამო სააკაშვილი სასჯელს არ იხდის. სახელმწიფო ქონების გაფლანგვაზე კეზერაშვილთან ერთად პასუხი სააკაშვილმაც უნდა აგოს.

***– როგორ ფიქრობთ, ეს ხალხი ახლა სააკაშვილის კონტროლიდან გავიდა, რადგან ციხეშია?***

– ნაცმოძრაობაში გარკვეული პროცესია – უკვე ხელისუფლებაში რომ აღარ არიან და სხვას ვერ ვნებენ, თავისიანების ვნება დაიწყეს. მორიელის პრინციპი მოქმედებს. შესაბამისად, დიდი ალბათობით, ეს ფლანგი სააკაშვილისაგან გავიდა. ამომრჩევლებში სააკაშვილის სახელის გამოყენება უნდათ, სააკაშვილის მომხრეები შემორჩენილი არიან. როგორც ვიცით, ნახევარ მილიონ ხმას სააკაშვილი იღებს და არა – მერაბიშვილი. ლიდერის უნარები სააკაშვილს აქვს, ქარიზმატულია და ხმებს იღებდა.

***– როგორ ფიქრობთ, ნახევარ მილიონ ხმას მომავალშიც მიიღებს?***

– არა. თუ პარტია გაიხლიჩა და რეალურად ძლიერი ორგანიზაცია აღარ იქნება, ვერ მიიღებს. დღეს საქართველოში ორი ძლიერი პარტიაა. ყველანაირი რესურსი სახელისუფლებო პარტიასა და ყოფილი ხელისუფლების პარტიას აქვთ. საპარლამენტო პარტიები არიან, მაგრამ ოფისებიც კი არა აქვთ.

აქედან გამომდინარე, ნაცმოძრაობის განვითარებაში სააკაშვილის ფაქტორი მნიშვნელოვანია – წინსვლაში ან უკუსვლაში.

***– ნაცმოძრაობაში დღეს მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, რის ნიშნებს ხედავთ?***

– ნაცმოძრაობა ორ ნაწილად ნამდვილად გაიყოფა, რადიკალებად – მერაბიშვილის ფრთად და ნიკა მელიას ფრთად. ვფიქრობ, ნიკა მელია ნაცმოძრაობის ნაწილს წაიყვანს. ამის შემდეგ ქონების გაყოფის რესურსი სამართლებრივადაც ექნება.

***– პარტიის სახელმწიფო დაფინანსებაც გაიყოფა?***

– რა თქმა უნდა. არა მარტო სახელმწიფო დაფინანსება, არამედ ის ქონებაც გაიყოფა, რომელიც ამ პარტიას აქვს, მათ შორის, ოფისებიც. ყველაფერი შესაბამისი წესით გაკეთდება.

***– საინტერესოა, სააკაშვილი ვისთან იქნება.***

– დიახ, საინტერესოა, სააკაშვილი ვისთან იქნება, ჯალათებთან, რომლებსაც სისხლი სწყურიათ თუ, უბრალოდ, ექსტრემისტებთან. სააკაშვილს არჩევანი ცუდსა და უარესს შორის ექნება. ექსტრემისტები – მელია და ჯალათები – მერაბიშვილი.

***– სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე დიდი აჟიოტაჟია. თქვენ რას იტყვით?***

– სააკაშვილი ნამდვილად ავადაა. ექიმების კვლევების ნაწილი გამოქვეყნდა, ვესაუბრე ექიმებსაც და მას მართლა მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობა აქვს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ციხეებში, პენიტენციარულ სისტემაში მისი მკურნალობა არ შეუძლიათ. ახლა უარესი ჯანმრთელობის მდგომარეობის ადამიანებს კურნავენ.

***– რეალურად რა სჭირს?***

– ამას ნეიროფსიქოლოგიური დაავადებების მთელი კასკადი ჰქვია.

***– ანუ ციხეში ყოფნას ვერ იტანს.***

– მას ჩვეულებრივი დეპრესია და მისგან გამოწვეული სხვადასხვა სახის დაავადება აქვს, მაგალითად, კლაუსტროფობია და ასეთი რაღაცები, ჩაკეტილი სივრცის შიში და სხვა. საშინელი შიშები აქვს. ავადმყოფობის ძირითადი მიზეზი ეს არის. მიშა ხვალ რომ გათავისუფლდეს, ზეგ უკვე კარგად იქნება.

ეს დაავადებები იკურნება. მას განკურნავენ და გადარჩება. სააკაშვილის ციხეებში პატიმრები, პირიქით, უფრო ჩაკეტილი ჰყავდათ. ის კი ციხიდან გამოყვანილი ჰყავთ და საავადმყოფოს პალატაში.

# სასამართლომ ვაკის პარკის ტრაგედიის საქმეზე დაკავებული ცხრავე პირი პატიმრობაში დატოვა

ვაკის პარკის ტრაგედიის საქმეზე დაკავებული ცხრავე პირი პატიმრობაში დარჩა. აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო.

გუშინდელ სასამართლო სხდომაზე დაკავებულების მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება, პატიმრობა, გადაისინჯა და ძალაში დარჩა.

დაცვის მხარე დაკავებულების აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას, ბრალდების მხარე კი მათ მიმართ კვლავ მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას ითხოვდა.

ცნობისთვის, ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიის საქმეზე სამართალდამცავებმა 18 ოქტომბერს 9 პირი დააკავეს.

დაკავებულთა შორის არიან კომპანია „გრინსერვის პლუსის" ხელმძღვანელი ლაშა ფურცხვანიძე და თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი ვახტანგაშვილი.

ლაშა ფურცხვანიძეს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით და 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულებს ედავება, რაც გულისხმობს გულგრილობას, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. მას ასევე ედავებიან ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენებას.



რაც შეეხება თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი ვახტანგაშვილს, მას ბრალად სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ედება, რაც სამსახურებრივ გულგრილობას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ასევე, დაკავებულია შპს „გრინსერვის+"-ის საქმის მწარმოებელი – ბექა მურღვლიანი და შპს „ნიუ მეტალ დიზაინის" წარმომადგენელი – ლ.ჭ. მათ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ედავებიან, რაც გულისხმობს გულგრილობას, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

„გრინსერვის +"-ის კიდევ ერთ თანამშრომელს დევი კახოიძეს კი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ედება ბრალი, რაც ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებაში წაქეზებას გულისხმობს. დაკავებული არიან ასევე, შპს ,,მშენექსპერტის" დირექტორი – ნუგზარ ქიტიაშვილი და ამავე კომპანიის ინსპექტორი – დავით თუშიშვილი. მათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ედავებიან, რაც გულისხმობს ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გასაღებას. ასევე, დაკავებულია 2 კერძო ელექტროშემდუღებელი – გ.გ. და ვ. გ. მათ ბრალი ედებათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც გულისხმობს სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# სუს-ის უფროსის საჩივარი ცილისწამებაზე სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებმა – გოჩა ჯეირანაშვილმა, ლაშა თავართქილაძემ და ოთარ სიჭინავამ (თავმჯდომარე) არ დააკმაყოფილეს შპს „ფორმულას", შპს „მთავარი არხის" და ლევან ხაბეიშვილის სააპელაციო საჩივარი და ძალაში დატოვეს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.



– საქმე ეხება თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებას, რითაც სასამართლომ დააკმაყოფილა გრიგოლ ლილუაშვილის სარჩელი შპს „ფორმულას", შპს „მთავარი არხის" და ლევან ხაბეიშვილის წინააღმდეგ. კერძოდ, სარჩელში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი, გრიგოლ ლილუაშვილი, სადავოდ ხდიდა მედიაში გავრცელებულ განცხადებებს, რომლებიც დანაშაულებრივ სქემაში, ე.წ. ქოლ-ცენტრების საქმეში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და მისი, როგორც ამ უწყების ხელმძღვანელის, სავარაუდო ფიგურირებას უკავშირდება. პირველმა ინსტანციამ მოსარჩელის მიმართ დაადგინა ცილისწამების ფაქტი და მოპასუხეებს დააკისრა იმავე მედიასაშუალებების მეშვეობით გავრცელებული ცნობების უარყოფა და მორალური ზიანის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლოში, მედიის წარმომადგენლები, ითხოვდნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებას, ასევე იმ განჩინების გაუქმებას, რომლითაც თბილისის საქალაქო სასამართლომ უარი თქვა საქმის წარმოების შეწყვეტაზე.

სააპელაციო საჩივარში მედიის წარმომადგენლები უთითებდნენ, რომ არასწორი იყო პირველი ინსტანციის შეფასება გაკეთებული განცხადებების ფაქტებად მიჩნევასთან დაკავშირებით, ვინაიდან ისინი იყო ჟურნალისტის მოსაზრებები და დასკვნები, რაც საკმარის ფაქტობრივ გარემოებებს ეყრდნობოდა და რის გამოც დაუშვებელია მათ სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროთ.

სამწუხაროდ, ამ შემთხვევაშიც, თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მედიის წარმომადგენლების მოსაზრებები და მათი არგუმენტაცია და პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

საყურადღებოა, რომ როგორც საქალაქო სასამართლოში, ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოშიც დავის მიმდინარეობისას მსგავსი ძირითადი პრობლემები გამოიკვეთა, რაც მიგვანიშნებს, რომ ცილისწამების საქმეებთან დაკავშირებით, ეროვნული სასამართლოების მიერ ერთგვარი ტენდენცია ყალიბდება, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლოშიც, მოსამართლეებმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს სუს-ის ხელმძღვანელის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრის მიმართ. ამ შემთხვევაშიც, საქმე დადგენილი პრაქტიკისგან განსხვავებით, არაორდინარულად სწრაფად, შემჭიდროებულ ვადებში, განიხილეს;

სასამართლომ ისევ არ მიიღო მხედველობაში, რომ სახეზე არ გვაქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არც ერთი წინაპირობა, რომელიც განცხადების ცილისწამებლურად აღიარების შესაძლებლობას იძლევა. მათ შორის, არ დასტურდება ზიანი, რომელიც თითქოს გრიგოლ ლილუაშვილს მიადგა გავრცელებული განცხადებებით. ვერც ის დამტკიცდა, რომ მოპასუხეები მოქმედებდნენ აშკარა და უხეში დაუდევრობით, მიუხედავად ამისა, სასამართლომ მაინც დაადგინა, ცილისწამების ფაქტი;

მოსარჩელემ თავისი პოზიცია დაამყარა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებების მანიპულაციურ განმარტებებს, რაც სასამართლოს შეცდომაში შეყვანის მცდელობას წარმოადგენდა, და როგორც ჩანს სასამართლომ ისინი გაიზიარა;

სასამართლომ არ გაითვალისწინა მსგავსი გადაწყვეტილების მიღებით გამოწვეული საფრთხეები. მათ შორის ყურადღება არ გაუმახვილებია იმაზე, რომ სარჩელი შეტანილია სუს-ის ხელმძღვანელის მიერ, რომელსაც მედიაში გავრცელებული კრიტიკული მოსაზრებების მიმართ მეტი თმენის ვალდებულება გააჩნია.

საყურადღებოა, რომ ხელისუფლებისა და მასთან დაკავშირებული სხვა გავლენიანი პირების წინააღმდეგ გაკეთებული კრიტიკული განცხადებები არაერთხელ ყოფილა სასამართლო დავის დაწყების საფუძველი. მსგავსი ტენდენცია არის სასარჩელო მექანიზმის ბოროტად გამოყენება, რომელიც მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების დაშინების გზით სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უკანონო შეზღუდვას (ე.წ SLAPP სარჩელები). ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან უსაფუძვლო სარჩელების შეტანის ტენდენციის გათვალისწინებით კი, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ქმნის განსაკუთრებით საშიშ პრეცედენტს, ვინაიდან არსებობს იმის მოლოდინი, რომ საჯარო პირების მხრიდან გაიზრდება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მართლმსაჯულების ობიექტად ქცევის შემთხვევები, რაც არსებითად შეუშლის ხელს მედიის წარმომადგენლების საქმიანობას და შექმნის „მსუსხავ ეფექტს" სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებისათვის. – ნათქვამია არასამთავრობო ორგანიზაცია GDI-ს განცხადებაში.

## სასამართლომ „ტვ პირველსა" და ტელეწამყვან მაია მამულაშვილს კახა კალაძის მიმართ 15 ათასი ლარის გადახდა დააკისრა



ტელეკომპანია „პირველის" საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელის, ნოდარ მელაძის ინფორმაციით, სასამართლომ „ტვ პირველს" და ტელეწამყვან მაია მამულაშვილს კახა კალაძის მიმართ 15 ათასი ლარის გადახდა დააკისრა.

როგორც ნოდარ მელაძე სოციალურ ქსელში წერს, „ტვ პირველი" ამ თანხას ვერ გადაიხდის, რადგან ანგარიშებს ინკასო ადევს.

– იმის გამო, რომ კახი კალაძეს მაია მამულაშვილის დასმული კითხვა არ მოეწონა, სასამართლომ „ტვ პირველს" და მაია მამულაშვილს 15 ათასი ლარის გადახდა დააკისრა.

„ტვ პირველი" ამ თანხას ვერ გადაიხდის, რადგან ანგარიშებს ინკასო ადევს. შესაბამისად, შემდეგ ნაბიჯი იქნება კალაძე აღსრულებას მიმართავს, რომ ტელევიზიიდან კამერები წაიღოს, ან მაია მამულაშვილის სახლიდან, ამ თანხის ოდენობის ნივთები, სამეული, მაცივარი და ან ტელევიზორი, – წერს ნოდარ მელაძე.

ცნობისთვის, თბილისის მერმა კახა კალაძემ 2022 წლის 20 ივნისს მიმართა საქალაქო სასამართლოს სარჩელით ცილისმწამებლური ინფორმაციის უარყოფისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე. კალაძე მოპასუხე პირებისგან მორალური ზიანის ანაზღაურების სახით 100.000 ლარს ითხოვდა. კალაძის ადვოკატის, დიმიტრი გაბუნიას ინფორმაციით, საქმე ეხება 2022 წლის 5 ივნისს ,,ტვ პირველის" ეთერში გასულ მაია მამულაშვილის საავტორო გადაცემას, სადაც ჟურნალისტმა გააკეთა განცხადება, რომ ,,კახა კალაძემ მხოლოდ ერთი ტენდერიდან 60 მილიონი მიიღო, რაც არის ოფიციალური ინფორმაცია.

## დანაშაულებრივ გარიგებაში შევიდნენ ფეხმძიმე ქალებთან – 2 მეწარმე და ბუღალტერი პასუხისგებაში მისცეს



ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ცნობით, ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენების გზით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ, სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისცეს 2 მეწარმე სუბიექტი და მათი ბუღალტერი.

უწყება ამბობს, რომ ისინი დანაშაულებრივ გარიგებაში ფეხმძიმე ქალებთან შევიდნენ.

– გამოძიებით დადგინდა, რომ სახელმწიფოს მიერ დაწესებული, დეკრეტულ შვებულებაში მყოფ მოქალაქეებზე გათვალისწინებული ფულადი დახმარების მოტყუებით დაუფლების მიზნით, 2020-2022 წლებში, ბრალდებულები, წინასწარ მოფიქრებული სქემის მიხედვით, დანაშაულებრივ გარიგებაში შევიდნენ ფეხმძიმე ქალებთან, ფიქტიურად გააფორმეს ისინი მათ დაქვემდებარებაში არსებულ საწარმოებში, რის შემდეგაც, მომზადებულ იქნა ყალბი დოკუმენტები, რომელთა გამოყენებითაც, შეცდომაში იქნა შეყვანილი სსიპ სოციალურ მომსახურეობის სააგენტო და სახელმწიფო ბიუჯეტიდან, საწარმოებში თითქოსდა დასაქმებული 82 პირის მიერ მიღებულ იქნა ორსულებისათვის გამოყოფილი ერთჯერადი ფულადი დახმარება ჯამში 82 000 ლარის ოდენობით, რაც შემდგომში გაინაწილეს ურთიერთშორის, – წერია უწყების განცხადებაში.

გამოძიება ამბობს, რომ ტარდება შესაბამისი ღონისძიებები დეკრეტული შვებულების თანხების დაუფლებასთან დაკავშირებული სხვა დანაშაულებრივი ქმედებების გამოვლენისა და დამნაშავე პირების მხილების მიზნით.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე, 210-ე და 180-ე მუხლებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით.

## შალვა ხაჭაპურიძის განცხადებით, საკუთარ სახლსა და ავტომობილში სათვალთვალო კამერები იპოვა

საქართველოს მესამე პრეზიდენტის უფლებადამცველმა შალვა ხაჭაპურიძემ საკუთარ სახლში და ავტომობილში სათვალთვალო კამერა აღმოაჩინა.



როგორც ადვოკატი „მთავარ არხთან" საუბრისას აცხადებს, აპარატურა გუშინ საღამოს საათებში, შემთხვევით, სავარძელში იპოვეს, შემდეგ კი სათვალთვალო კამერა ავტომობილშიც ნახეს.

– პირველი პატარა სათვალთვალო კამერა თავისი მოწყობილობით იქნა აღმოჩენილი სავარძელში, სახლში, მაგიდის გვერდით. შემდეგ ჩავედით, მანქანა დავათვალიერეთ და იქაც ვიპოვეთ. მერე გარეთაც კარგად დავათვალიერეთ, იქაც ვნახეთ, სახლის წინ აყენია, დიდი კამერაა. გუშინ შემთხვევით აღმოვაჩინეთ, საღამოს პერიოდი იყო, – აცხადებს შალვა ხაჭაპურიძე.

კითხვაზე, თუ ვისზე აქვს ეჭვი, ხაჭაპურიძე პასუხობს, რომ ალბათ, ფაქტი იმ პირებს უკავშირდება, ვინც მისი საქმიანობით დაინტერესებულია.

მისივე თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებულია, საჯარო განცხადების საფუძველზე, რეაგირება მოახდინოს.

– საჯარო განცხადებას ვაკეთებთ და ვალდებულები არიან, თვითონ მოახდინონ ამაზე რეაგირება. მაგის დრო არ მაქვს, რომ განცხადებები ვწერო, – აღნიშნავს ადვოკატი.

## მკვლელობა და დაჭრა ისანში – რა განაჩენი გამოუტანა სასამართლომ ბრალდებულს




პროკურატურის ინფორმაციით, თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო პირი, რომელმაც ისანში, „დირსის" დასახლებაში ორი ადამიანი მათ შორის, ერთი არასრულწლოვანი დაჭრა, ერთი კი მოკლა.

შემთხვევა 2022 წლის 27 აპრილს მოხდა. მსჯავრდებულმა ურთიერთშელაპარაკებისას ორი დანის გამოყენებით ოთხი ადამიანი, მათ შორის ერთი არასრულწლოვანი დაჭრა. მიყენებული დაზიანებების შედეგად ერთი ადგილზე გარდაიცვალა.

პროკურატურის ინფორმაციით, მომხდარის შემდეგ, ბრალდებული „დირსის" საცხოვრებელი კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიიდან ტაქსით მიიმალა, რა დროსაც მან ტაქსის მძღოლს მომხდარის შესახებ მოუყვა და სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული 2022 წლის 28 აპრილს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19/109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ" და მესამე ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტებით (წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის და ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა) და 150-ე მუხლის პირველი ნაწილით (იძულება) წარედგინა.

მას სასჯელის სახედ და ზომად 17 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# რუსეთი უკრაინაზე ბირთვულ დარტყმას აპირებდა



მუქარა ბირთვული იარაღის გამოყენების თაობაზე 2014 წლიდან გვესმის, როცა მოსკოვმა ყირიმის ანექსია მოახდინა. ვაშინგტონი რუსეთის მიმართ კარგა ხანს შემრიგებლურ პოზიციას ინარჩუნებდა. დაუსჯელობამ პუტინი გაათამამა და მიმდინარე წლის 2 თებერვალს რუსეთის არმია უკრაინაში შეიჭრა. დაიწყო ომი.

– რუსეთს ბლიცკრიკი ჩაეშალა. ამის შემდეგ კვლავ დაიწყო საუბარი ბირთვული იარაღის გამოყენებაზე, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

გამოცემა „ნიუსვიკი“ წერს, რომ უკვე მიმდინარე წლის ზაფხულში რუსმა მაღალჩინოსნებმა დაიწყეს ლაპარაკი უკრაინაში ბირთვული იარაღის გამოყენების შესახებ. საუბარი იყო ტაქტიკურ ბირთვულ იარაღზე. რუსი გენერლები (მაგ. სუროვიკინი) და რიგი მაღალჩინოსნები (კადიროვი, პრიგოჟინი) აშკარად აცხადებდნენ, რომ უკრაინელები წინააღმდეგობას არ შეწყვეტენ, მეტიც, მოსალოდნელია შეტევა ხერსონის, ასევე ხარკოვის ოლქის მიმართულებით, ხოლო ტაქტიკური ბირთვული იარაღი უკრაინელების შესაკავებელი ერთადერთი არგუმენტია. პუტინი ამას მხარს უჭერდა.

– რადგან ამერიკელებმა თავის დროზე იაპონიაში ბირთვული იარაღი გამოიყენეს, ისმის კითხვა, რატომ არ შეიძლება რომ ჩვენ, რუსებმაც, იგივე მოვიმოქმედოთ? – ამბობდა პუტინი.

სიტყვას საქმეც მოჰყვა. რუსულ ტელეკომპანია ნტვ-ს ეთერში გავიდა ფსევდოდოკუმენტური ფილმი. მასში საუბარი იყო ე.წ. ბიოლოგიურ ლაბორატორიებზე. ისინი ამერიკელებმა თურმე უკრაინის ტერიტორიაზე განათავსეს. რუსი პროპაგანდისტები სრულიად სერიოზულად ამტკიცებდნენ, რომ აშშ რუსეთის წინააღმდეგ ბიოლოგიური იარაღის გამოყენებას აპირებს, ამიტომ უკრაინის წინააღმდეგ ნებისმიერი საშუალების გამოყენება გამართლებულია.

– ფაქტობრივად მზადდებოდა პროპაგანდისტული სარჩული საიმისოდ, რომ უკრაინის წინააღმდეგ ტაქტიკური ბირთვული იარაღი გამოეყენებინათ, – წერს „ნიუსვიკი“.

შემდეგ განხორციელდა პროვოკაცია. უცნობმა დივერსანტებმა ყირიმის ხიდი ააფეთქეს. ამერიკელი ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ აფეთქება თავად ფსბ-ს აგენტებმა მოაწყვეს. მიზანი უკრაინაზე დარტყმის გამართლებაა. საფრთხე მართლაც იმდენად დიდი იყო, რომ პრეზიდენტმა ბაიდენმა საგანგებო განცხადება გააკეთა:

– რუსეთის მიერ ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენებას აშშ-ის მხრიდან საკადრისი პასუხი მოჰყვება!

პუტინმა უკრაინის მიმართ ბირთვული იარაღი აღარ გამოიყენა. ამის ნაცვლად დაიწყო უკრაინის ტოტალური დაბომბვა. რუსები ცდილობდნენ, ზამთრის წინ უკრაინული კრიტიკული ინფრასტრუქტურა გაენადგურებინათ. ამით უკრაინის მოსახლეობას გაუსაძლისი პირობები ექმნებოდა. ამან არ გაჭრა. უკრაინელების 77% რუსეთთან ნებისმიერი შეთანხმების წინააღმდეგია.

# ბაიდენი კონგრესის წარმომადგენლებს შეხვდა



აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენი კონგრესის ახალ უმრავლესობის წარმომადგენლებს შეხვდა. საუბარმა ორ საათს გასტანა.

პრეზიდენტმა კონგრესმენებთან საუბარში საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტები განიხილა. ესენია: კოვიდის წინააღმდეგ ბრძოლის დაფინანსება და უკრაინისათვის დახმარების აღმოჩენა.

# დონბასის მთელ ტერიტორიაზე სასტიკი ბრძოლებია



რუსი ოკუპანტები კვლავაც განაგრძობენ ბახმუტის, ავდეევკის, სოლედარის, უგლედარის შტურმს. ყველა იერიში მოგერიებულ იქნა. აღსანიშნავია, რომ ბახმუტზე შეტევები უკვე მეექვსე თვეა გრძელდება. ოკუპანტები ბახმუტის ალყაში მოქცევას ლამობდნენ. ეს ჩაიშალა. ასევე ჩაიშალა ოკუპანტების მცდელობა, ბახმუტისაკენ გაჭრილიყვნენ. უკრაინული არტილერიის ინტენსიური ცეცხლის შედეგად რუსების შეჩერება მოხერხდა.

სამაგიეროდ, მართალია ის, რომ ოკუპანტები ცდილობდნენ შეტევითი ოპერაციების განხორციელებას კრემენოესთან. ამას წარმატება არ მოჰყოლია. გარდა ამისა, რუსები იარაღისა და ცოცხალი ძალის დეფიციტს განიცდიან.

– ამიტომაც ლუგანსკის ოლქში ოკუპანტებმა მეშახტეების მობილიზაცია დაიწყეს, – იტყობინება „რბკ-უკრაინა“.

უკრაინელი სამხედრო ექსპერტის, პოლკოვნიკ ოლეგ ჟდანოვის აზრით, უახლოეს დღეებში რუსი ოკუპანტები განაახლებენ უკრაინის მთელი ტერიტორიის დაბომბვას. პარალელურად დაიწყება მასობრივი შეტევა. დარტყმა, უწინარეს ყოვლისა, დონბასზეა მოსალოდნელი.

# ბრძოლები უკრაინის სამხრეთში



უკრაინის სამხრეთშიც სასტიკი ბრძოლებია. უკრაინულმა არტილერიამ განახორციელა დარტყმები დნეპრის მარცხენა ნაპირზე, იქ, სადაც რუსი ოკუპანტები იყვნენ გამაგრებულნი. ოკუპანტებს შორის დიდძალი მსხვერპლია. პასუხად ოკუპანტებმა ხერსონი დაბომბეს. რუსები საგანგებოდ უმიზნებდნენ ენერგოობიექტებს, საავადმყოფოებს, საცხოვრებელ სახლებს. ხერსონში 17 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.

ხერსონის პარალელურად, რუსებმა დაბომბეს ზაპოროჟიეს ოლქი, კერძოდ, ქალაქი ზაპოროჟიე. უკრაინელებმა პასუხად განახორციელეს დარტყმები ოკუპანტების იარაღის საწყობებზე. უკრაინელები ენერგოდარს უახლოვდებიან.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


# განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.


# გიორგი გოჩოლეიშვილის ნაკრები და შახტარი



საბურთალოს აკადემიის აღზრდილი ფეხბურთელი გიორგი გოჩოლეიშვილი უკრაინის ერთ-ერთ ტიტულოვან და ისტორიულ კლუბში, დონეცკის შახტარში ითამაშებს. მხარეებს შორის მოლაპარაკება, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, წარმატებით დასრულდა. ახალ კლუბში ფეხბურთელმა სამედიცინო შემოწმებაც გაიარა. გოჩოლეიშვილი შახტარს იანვრის პირველ რიცხვებში შეუერთდება.

საბურთალოს ხელმძღვანელებმა გიორგი გოჩოლეიშვილი 2010 წელს ქუთაისში შეამჩნიეს, რის შემდეგაც აკადემიაში გადაიყვანეს და ყველა ასაკობრივ გუნდში ითამაშა – ჯერ დუბლებში, შემდეგ კი პირველი გუნდის კარიც შეაღო. პარალელურად, გოჩოლეიშვილი გახლდათ ყველა ასაკობრივი ნაკრების წევრიც.

ეროვნული ლიგის მიმდინარე სეზონში გოჩოლეიშვილმა არაერთი კარგი მატჩი ჩაატარა. ამასწინათ კი ფეხბურთელის კარიერაში ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა – გიორგიმ მაროკოსთან შეხვედრაში პირველად მოირგო ეროვნული ნაკრების მაისური.

**გიორგი გოჩოლეიშვილი:**

– ნაკრებში ყველა თბილად შემხვდა, რამაც ადაპტაცია გამიადვილა. რამდენიმეს ახალგაზრდული ნაკრებიდან ვიცნობდი, გამოცდილი და სტაჟიანი ფეხბურთელების უმეტესობა კი, ახლა გავიცანი. მეგობრული და კარგი გარემო დამხვდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია წარმატების მისაღწევად. მადლობა ყველას, ვინც გვერდში დამიდგა.

***– ნაკრებში მთავარმა მწვრთნელმა ვილი სანიოლიმ რა გითხრათ?***

– პირველ რიგში, ნაკრებში გამოძახება მომილოცა და წარმატებები მისურვა, შემდეგ, როდესაც თეორიაზე ვიყავით, მითხრა, თუ მომეცემოდა თამაშის საშუალება, მაქსიმალურად თავისუფლად ვყოფილიყავი. მისმა ამ სიტყვებმა მეტი შემართება მომცა.

***– ელოდით, რომ ძირითად შემადგენლობაში ითამაშებდით?***

– ძირითადში თამაშს არ ველოდი. უბრალოდ, თამაშის წინა დღეს ვარჯიშზე მკითხა, თუ როგორ ვგრძნობდი თავს. მეორე დღეს კი, როდესაც გავიგე, რომ ძირითად შემადგენლობაში დავიწყებდი მატჩს, უბედნიერესი ადამიანი ვიყავი. თამაში მოულოდნელი, ერთგვარი სიურპრიზი იყო. მატჩისწინა თავისებური მღელვარება მქონდა, მაგრამ შემდეგ გამიარა ამ მცირე ნერვიულობამ და განვაგრძე თამაში ჩემი ქვეყნისთვის.

***– სხვა ტემპი და სისწრაფე იყო, ბევრად გამოცდილი ფეხბურთელების წინაშე თამაში არ გაგიჭირდათ?***

– ჩემს კარიერაში ეს დიდი გამოწვევა იყო. ამ ერთმა მატჩმაც დიდი გამოცდილება შემმატა. რა თქმა უნდა, სხვა დონეზე თამაში იყო გამოცდილ და მაღალკვალიფიციურ ფეხბურთელებთან.

***– ნაკრებში რა მოგხვდათ თვალში განსაკუთრებით?***

– ფეხბურთელები, მწვრთნელები თუ ნაკრების წევრები გვერდში მედგნენ. ამან კიდევ უფრო გამიმარტივა თამაში. გუნდი აშკარად ერთ მუშტად არის შეკრული და დიდი ოჯახია.

# დინამომ ისევ წააგო



**დინამო (საქართველო)-ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 9:21**

**დინამო:** ჯაპიაში, კირიაკიდი, ახვლედიანი (2), დიხტიარენკა, ტყეშელაშვილი, ვლასოვიჩი, ჯახაია (2), სარიჩი (1), იმნაიშვილი, მაგრაქველიძე (2), მალიშაუ, პიეშივაცი (2), რაზმაძე

**ოლიმპიაკოსი:** ბილაჩი, კილასი (1), ვამოსი (2), გენიდუნიასი (2), ფუნტულისი (7), გუვისი (1), დერვისისი, ბუსლი (2), მურიკისი (2), ფილიპოვიჩი, კოლომვოსი, პაპანასტასიუ (4), ზერდევასი

თბილისის საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის“ აუზში ჩემპიონთა ლიგის 2022-23 წლების გათამაშების მეორე ტურის მატჩი გაიმართა. თბილისის დინამო ამჯერად საბერძნეთის ოლიმპიაკოსს დაუხვდა და დიდი ანგარიშით დამარცხდა – 9:21.

დინამომ სტარტზე ესპანეთის ბარსელონეტასთან (8:14) წაგების შემდეგ სათანადო წინააღმდეგობა ვერც ბერძნულ გუნდს გაუწია. ელინელებმა, ფაქტობრივად, პირველივე მეოთხედში გადაწყვიტეს საქმე, რომელიც 6:2 მოიგეს. დარჩენილ დროში მეთოდურად ზრდიდნენ უპირატესობას, ხოლო ბოლო მეოთხედი საერთოდ ფორმალობად აქციეს.

მატჩის გმირი იოანის ფუნტულისი გახდა, რომელმაც მასპინძელთა კარში შვიდი ბურთი გაიტანა, ხოლო პაპანასტასიუმ ოთხჯერ დაამწუხრა დინამოელთა მეკარე.

ჩემპიონთა ლიგის ა ჯგუფში სხვა მატჩებიც გაიმართა: იადრანი (ხორვატია)-პრო რეკო (იტალია) 9:13; ვულიაგმენი (საბერძნეთი)-ბარსელონეტა (ესპანეთი) 7:11; რადნიჩკი (სერბეთი)-ჰანოვერი (გერმანია) 13:12.

# შავი ლომი ნახევარფინალისთვის ემზადება

სანაკრებო მატჩებით გამოწვეული ერთთვიანი შესვენების შემდეგ რაგბი ევროპის სუპერთასი ნახევარფინალური შეხვედრებით გვიბრუნდება.

4 დეკემბერს სუპერთასის პირველი გათამაშების გამარჯვებული შავი ლომი ესპანურ იბერიანსს 16:00 საათზე „ავჭალაზე“ ეთამაშება. ამავე დღეს მეორე ფინალისტი ლისაბონში გაირკვევა, სადაც ადგილობრივი ლუზიტანუში ისრაელის ჰითსს ჩვენი დროით 19 საათზე უმასპინძლებს. შეგახსენებთ, ნახევარფინალური ეტაპი ერთი მატჩისგან შედგება, სუპერთასის მფლობელი კი 17 ან 18 დეკემბერს გამოვლინდება.

შავი ლომი „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე შეკრებაზე ორშაბათს შევიდა და მზადების ინტენსიურ ეტაპზე გადავიდა. გუნდს ტრავმების გამო ვერ დაეხმარებიან გრიგორ ქერდიყოშვილი და თემო ჭიჭინაძე. ტრავმირებულები არიან და, სავარაუდოდ, ფინალიც გაუცდებათ თორნიკე აქუბარდიასა და გიორგი კერვალიშვილს. ტრავმა აქვს და ნახევარფინალამდე ვერ მომჯობინდება სანდრო თოდუა. რეაბილიტაციას გადის და ჯერჯერობით უცნობია, ითამაშებს თუ ვერა ლუკა ივანიშვილი. ასევე გაცივდა და ჯერჯერობით ვერ ვარჯიშობს ლაშა ხმალაძე.

არის მატებაც – ტრავმები მოიშუშეს და სრულყოფილად ვარჯიშობენ ნიკა ხატიაშვილი, თენგიზ ზამთარაძე და სოსო მათიაშვილი.

**ლევან მაისაშვილი:**

– გუნდის ნაწილმა ნაკრებთან ერთად ნოემბრის ტესტ-მატჩებში მიიღო მონაწილეობა, დანარჩენები კი დიდი 10-ის კლუბებში იყვნენ და იქ მიიღეს სათამაშო გამოცდილება. სამწუხაროდ, რამდენიმე მორაგბეს ტრავმები აქვს და, ნახევარფინალის გარდა, ფინალის გამოტოვებაც მოუწევთ. სანაკრებო დონის თამაშებიდან სუპერთასზე გადართვას გარკვეული ფსიქოლოგიური პრობლემები ახლავს, მაგრამ ვმუშაობთ და, იმედს ვიტოვებ, 4 დეკემბრისთვის სრულ მზადყოფნაში ვიქნებით.

სუპერთასის გასული გათამაშების ნახევარფინალში შავი ლომი ასევე „იბერიანსს“ შეხვდა. მაშინ გუნდებმა „ავჭალაზე“ უხვქულიანი თამაში შემოგვთავაზეს და ჩვენმა გუნდმა 43:40 იმარჯვა. მაისაშვილი იმედოვნებს, რომ წელს უპირატესობა უფრო სოლიდური იქნება:

– რაღაც ეტაპზე თამაშის სადავეები ხელიდან გაგვექცა, მეტოქემ იოლად შეძლო ქულების აღება და თამაშიც უხვქულიანი ამის გამო გამოდგა. ვეცდებით, უფრო აგრესიულები ვიყოთ დაცვაში და ნაკლები შეცდომები დავუშვათ. მაქვს პრეტენზია, რომ „იბერიანსთან“ დომინანტები ყველა ასპექტში, როგორც ძალისმიერ, ასევე ღია თამაშში ვიყოთ.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კალეიდოსკოპი

# მამაკაცმა ექვსი წლის განმავლობაში ლატარიაში ჯეკპოტი ორჯერ მოხსნა




ამერიკის მერილენდის შტატის დასახლება უოლდორფის მკვიდრმა მეორედ მოხსნა ჯეკპოტი ლატარიის გათამაშებაში მას შემდეგ, რაც ექვსი წლის წინ პირველად გახდა მსხვილი მოგების მფლობელი მომენტალური ლატარიის გათამაშებაში.

48 წლის დიმას მონტოიამ რამდენიმე წლის ინტერვალით მოიგო მსხვილი ფულადი პრიზი. პირველად მისმა მოგებამ ექვსი წლის წინ 100 ათასი დოლარი შეადგინა.

ახლახან კი ამერიკელმა ავტოგასამართ სადგურზე ნაყიდი ლატარიის ბილეთი შეამოწმა.

– მოლარემ მითხრა, რომ ლატარიის შტაბ-ბინაში უნდა მივსულიყავი და პრიზს იქ მომცემდნენ, ვინაიდან ჩემი მოგება მეტად სოლიდურ თანხას შეადგენდა, – განაცხადა მამაკაცმა.

აღმოჩნდა, რომ მის ბილეთში გადახაზული ოთხი ციფრი დაემთხვა გათამაშებაში ამოსულ ციფრებს და საბოლოოდ მისმა მოგებამ ამჯერად 50 ათასი დოლარი შეადგინა.

იღბლიანი ამერიკელი მოგებული თანხის ნაწილით ოჯახთან ერთად დასასვენებლად წასვლას აპირებს, ხოლო დარჩენილ ნაწილს სამომავლოდ გადადებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# მერვედფინალის ორი წყვილი ცნობილია

**ნიდერლანდები-კატარი 2:0**

**ალ ხორი. ალ ბაით სთედიუმი**

1:0 გაკპო (26), 2:0 დე იონგი (49)

**ნიდერლანდები:** ნოპერტი, ტიმბერი, ვან დეიკი, აკე, დუმფრისი, დე როონი (კუპმაინერსი 82), ფ.დე იონგი (ტეილორი 86), ბლინდი, კლაასენი (ბერგუისი 66), გაკპო (ვერგოსტი 82), დეპაი (იანსენი 66)

**კატარი:** ბარშამი, მოჰამადი (ხოდერი 85), მიგელი, ხუხი, ჰასანი, აჰმედი, ჰატემი (ალააელდინი 85), მადიბო (ბუდიაფი 64), ალ ჰაიდოსი (ასადალა 64), ალმოეზ ალი (მუნტარი 64), აფიფი

ნიდერლანდების ნაკრები უხარისხო და არასანახაობრივი ფეხბურთის თამაშით ჯგუფში პირველი ადგილზე გავიდა და ფლეი ოფშიც არცთუ ძლიერ მეტოქეს გადაეყარა.

ლუის ვან გაალის გუნდმა მასპინძელი კატარი იოლად დაამარცხა. ანგარიში 26-ე წუთზე კარგი კომბინაციის შემდეგ კოდი გაკპომ გახსნა, რომელმაც მუნდიალზე მესამე მატჩში მესამე გოლი გაიტანა.

ნიდერლანდებმა უპირატესობა მეორე ტაიმის დასაწყისშივე გაზარდა, როდესაც მემფის დეპაის დარტყმა მეკარემ მოიგერია, მაგრამ დამატებაზე ყველას ფრენკი დე იონგმა დაასწრო და ანგარიში 2:0 გახადა. დარჩენილ დროში არაფერი შეცვლილა.

შეიძლება ითქვას, რომ ვან გაალის შეგირდებმა ფლეი ოფის წინ კარგად ივარჯიშეს, თუმცა ასეთი თამაშით, შესაძლოა, მუნდიალს მომდევნო მატჩშივე დაემშვიდობონ.

კატარის ნაკრები კი... კატარი ერთადერთი მასპინძელია მუნდიალის ისტორიაში, რომელმაც ქულაც ვერ მოიპოვა...

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – კოდი გაკპო**

ნიდერლანდელთა ფორვარდი ყველაზე კარგ ფორმაში ჩანს – მესამე მატჩში მესამე გოლი მიითვალა. გოლის გარდა, შავ სამუშაოსაც ასრულებდა, ხშირად ჩადიოდა სიღრმეში და გუნდის კომბინაციებში მონაწილეობდა.

**ეკვადორი-სენეგალი 1:2**

**ეჩ-ჩაიანი. ხალიფა**

0:1 სარი (44პ), 1:1 კაისედო (67), 1:2 კულიბალი (70)

**ეკვადორი:** გალინდესი, ტორესი, ინკაპიე, ესტუპინიანი, პრესიადო, გრუესო (სიფუენტესი 46), ფრანკო (სარმიენტო 46), კაისედო, ესტრადა (რეასკო 64), ვალენსია, პლატა

**სენეგალი:** ე.მენდი, კულიბალი, იაკობსი, საბალი, დიალო, იდრისა გეიე, სისი (ნ.მენდი 74), ნდიაი (ნდიენგი 75), სარი, პაპ გეიე, დია (სისე 90)

ამავე ჯგუფში სენეგალმა ეკვადორი 2:1 დაამარცხა, 6 ქულა დააგროვა და ისტორიაში მეორედ მერვედფინალში გავიდა. ეკვადორმა კი რიხით დაწყებული ტურნირი უსახურად დაასრულა.

სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, ფლეი ოფში გასასვლელად სენეგალელებს მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდათ, ეკვადორელები კი ფრის შემთხვევაშიც მოიპოვებდნენ მერვედფინალის საგზურს.

კატართან და ნიდერლანდებთან ნაჩვენები თამაშის ხარისხით ეკვადორი ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ სამხრეთამერიკელებმა ცუდად ითამაშეს. აფრიკის ჩემპიონები კი უფრო მონდომებულნი გავიდნენ მოედანზე და მერვედფინალიც დაიმსახურეს.

44-ე წუთზე ისმაილა სარი მეტოქის საჯარიმოში წააქციეს და 11 მეტრიდან თავად დაუზარალებულმა უნაკლოდ დაარტყა – 0:1.

მეორე ნახევარში ეკვადორელებმა კი გაათანაბრეს, მაგრამ მათი სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა – კალიდუ კულიბალიმ 3 წუთში საკუთარი გუნდი ისევ დააწინაურა. როგორც შემდეგ გამოჩნდა, კულიბალის გოლი გამარჯვებისა და მერვედფინალის საგზურის მომტანი აღმოჩნდა.

სენეგალმა 6 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილზე გავიდა, ოთხქულიანი ეკვადორი კი მესამეზე დარჩა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – კალიდუ კულიბალი**

ნაკრების კაპიტანი, რომელიც გუნდს წინ მიუძღოდა. ჯერ დაცვაში შესანიშნავი თამაშით გამოირჩა თავი, ხოლო როდესაც საჭირო გახდა, შეტევაშიც ჩაერთო და ფლეი ოფში გამსვლელი ბურთიც გაიტანა.



**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნიდერლანდები | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 2.სენეგალი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| 3.ეკვადორი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| 4.კატარი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-7 | 0 |

**უელსი-ინგლისი 0:3**

**ეჩ-ჩაიანი. აჰმედ ბინ ალი**

0:1 რეშფორდი (50), 0:2 ფოდენი (51), 0:3 რეშფორდი (68)

**უელსი:** უორდი, დევისი (მორელი 59), მეფამი, როდონი, უილიამსი (რობერტსი 36), ამპადუ, ალენი (კოლუილი 81), რემზი, ჯეიმსი (უილსონი 77), ბეილი (ჯონსონი 46), მური

**ინგლისი:** პიკფორდი, უოკერი (ალექსანდერ-არნოლდი 57), სტოუნზი, მაგუაირი, შოუ (ტრიპიერი 65), რაისი (ფილიპსი 58), ჰენდერსონი, ბილინგემი, რაშფორდი (გრილიში 76), ფოდენი, კეინი (უილსონი 57)

უელსს ჯგუფიდან გასასვლელად აუცილებლად მოგება სჭირდებოდა, მაგრამ, თუ პარალელურ მატჩში ამერიკა ან ირანი გაიმარჯვებდა, ვალელებს მაინც არაფერი ეშველებოდათ.

ინგლისელებს გაცილებით მარტივი ამოცანა ჰქონდათ – ფრეც ჰყოფნიდათ, მაგრამ ამას არ დასჯერდნენ და მეტოქე დიდი ანგარიშით დაამარცხეს.

პირველი ტაიმი დიდი ვერაფერი საცქერი გამოდგა და უგოლოდ დასრულდა. მეორე ტაიმის დასაწყისში კი ინგლისმა ორწუთიან მონაკვეთში ორჯერ გაიტანა: ჯერ რაშფორდმა, შემდეგ კი ფოდენმა გამარჯვებულის ვინაობა გადაწყვიტეს. მალე რაშფორდის კიდევ ერთი გოლი მოჰყვა, რომელიც ინგლისის ნაკრების მიერ მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე მე-100 გამოდგა.

ამრიგად, ინგლისის ნაკრებმა ჯგუფში 7 ქულით პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო უელსი ბოლოზე დარჩა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – მარკუს რეშფორდი**

ამ მუნდიალზე რეშფორდი პირველად გამოიჩნდა ინგლისის ნაკრების სასტარტო შემადგენლობაში და დუბლითაც გამოირჩა. ორი გოლის გარდა, რეშფორდს სხვა მომენტებიც ჰქონდა და საკმაოდ აქტიურიც იყო.

**ირანი-აშშ 0:1**

**დოჰა. ალ თუმამა სთედიუმი**

0:1 პულიშიკი (38)

**ირანი:** ბეირანვანდი, რეზაიანი, ჰოსეინი, პურალიგანჯი, მოჰამადი (კარიმი 45), ნოორალაჰი (ტორაბი 71), ეზატოლაჰი, გოლიზადე (ანსარიფარდი 77), ტარემი, ჰაჯსაფი (ჯალალი 71), აზმუნი (გოდოსი 46)

**აშშ:** ტერნერი, დესტი (მური 82), ციმერსი, რეამი, რობინსონი, მაკკენი, ადამსი, მუსა, ვეა (ზიმერმანი 82), სარჯენტი (რაიტი 77), პულიშიკი (აარონსონი 46)

აშშ-ის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალშია. გრეგ ბერჰალტერის გუნდმა პირველი ტაიმი ძალიან კარგად ჩაატარა და მეტოქეს ყველა კომპონენტში აჯობა. რამდენიმე საგოლე მომენტიც შექმნა, რომელთაგან მხოლოდ ერთი აქცია გოლად – 38-ე წუთზე სერჯინო დესტის პასის შემდეგ კრისტიან პულიშიკმა ბურთი ცარიელ კარში შეაგდო.

გოლის მომენტში ამერიკელთა კაპიტანმა ტრავმა მიიღო, შესვენების შემდეგ მოედანზე აღარ გამოჩენილა და ჯერჯერობით მისი ფლეი ოფში თამაში საეჭვოა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – იუნუს მუსა**

ამერიკელთა საყრდენმა ნახევარმცველმა დიდი სამუშაო შეასრულა მოედნის ცენტრში, თუმცა ორივე ტაიმში განსხვავებულად იმუშავა: პირველში უფრო შემოქმედებას მიხედა, ხოლო შესვენების შემდეგ – დაცვით ფუნქციებს. ორივე კარგად გამოუვიდა...

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინგლისი | 3 | 2 | 1 | 0 | 9-2 | 7 |
| 2.აშშ | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| 3.ირანი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-7 | 3 |
| 4.უელსი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-6 | 1 |

ამრიგად, ორი მერვედფინალური წყვილი უკვე ცნობილია: 3 დეკემბერს ნიდერლანდების ნაკრები აშშ-ს შეხვდება, ხოლო 4 დეკემბერს ერთმანეთს ინგლისი და სენეგალი გაეჯიბრებიან.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*


## სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი" ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნილბები კანს ხრილ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანებსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**


## სამგლოვიარო განცხადებები

### მამია ჯორბენაძის გახსენება



გარდაიცვალა საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის ღვაწლმოსილი მუშაკი, შრომის ვეტერანი, საპატიო რკინიგზელი, საქართველოს რკინიგზის ყოფილი სარეჟიმო და სამობილიზაციო სამსახურის უფროსი მამია ჯორბენაძე.

იგი დაიბადა 1937 წლის 11 ივნისს ქ. ბათუმში რკინიგზელი მოსამსახურის ოჯახში. 1955 წელს წარჩინებით დაამთავრა სადგურ შროპაპნის რკინიგზის №17 საშუალო სკოლა, 1961 წელს – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტი მიმოსვლის გზათა ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1965 წლის ნოემბრამდე, განაწილებით მუშაობდა რუსეთში კალუგის ოლქში ლიუდინოვის თბომავლების შენებელ ქარხანაში ინჟინერ-კონსტრუქტორად, ინჟინრად, უფროს ინჟინრად.

1965 წლის ნოემბრიდან სამუშაოდ გადმოვიდა ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილებაში სალოკომოტივო განყოფილების ინჟინრად. აქედან მოყოლებული, ბატონი მამია მუშაობდა საქართველოს რკინიგზაზე სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე, 2006 წლის თებერვლამდე პენსიაზე გასვლამდე.

ყველგან, სადაც კი იმუშავა მამია ჯორბენაძემ, თავი გამოიჩინა, როგორც ენერგიულმა, შრომისმოყვარე და მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტმა. მას არაერთგზის აქვს გამოცხადებული მადლობა როგორც რკინიგზის, ისე რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების ხელმძღვანელობისგან.

საკავშირო მინისტრის ბრძანებით იგი დაჯილდოებული იყო საპატიო რკინიგზელის ნიშნით.

ბატონი მამია ადამიანებთან ურთიერთობაში იყო უაღრესად გულისხმიერი და ყურადღებიანი.

წავიდა ჩვენგან ღირსეული პიროვნება, ქეშმარიტი მამულიშვილი, საუკეთესო კოლეგა და მეგობარი, დიდებული ოჯახის უფროსი და დაგვიტოვა დიდი სევდა. მისი ხსოვნა მარადიული იქნება მეგობრებისა და კოლეგების გულში.

*საქართველოს რკინიგზის შრომის რკინიგზელ ვეტერანთა ასოციაციის გამგეობა*


**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**

**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**


## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ქართული ზღაპრების პერსონაჟი; 2. გამოძახილი ანუ...; 3. უცხოური ვალუტის ფასის დადგენა ბირჟაზე; 4. წყლის მოსაპოვებლად გაჭრილი ვიწრო, ღრმა ორმო; 5. არქიტექტურული ნაგებობის მხატვრული სამკაული, ორნამენტი; 6. ქართული სპორტული გაზეთი; 7. ქალაქი კახეთში; 10. აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ნივთი; 11. ძველებური ქართული ლექსის ერთ-ერთი ფორმა; 12. ნივთიერების დაშლა სინათლის ზემოქმედების შედეგად; 13. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი, კომიკოსი; 16. ისტორიული ციხე-სიმაგრე საგარეჯოს რაიონში; 18. იტალიის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 19. საჭმელი სოკო; 21. სუბტროპიკული ხილი; 24. აფრიკული ცხოველი.

**თარაზულად:** 1. ქართველი მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 3. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული შავყურძნიანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 8. ხორბლის მარცვლეულის რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული; 9. პროვინციის მმართველი თურქეთში; 14. ხელოვნური მარმარილო; 15. ხელოვნების ერთ-ერთი დარგი; 17. სასვენი ნიშანი გრამატიკაში; 20. ბგერის ნახევართონით დადაბლების ნიშანი მუსიკაში; 22. მღრღნელი ჭიის, მატლის საერთო სახელწოდება ძველად; 23. დიპლომატიური კურიერის სპეციალური დალუქული ჩანთა; 25. ახალი თევზისგან მომზადებული წვნიანი კერძი; 26. სუსტი არაყი; 27. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 28. კონცერტის დამამთავრებელი ნომერი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ხილარი; 2. კარგ; 3. შერმადინი; 4. მეგრე; 5. ლეგენდა; 8. სომონი; 9. ანთოლოგია; 12. სუბეკი; 14. ქარხანა; 16. ისანი.

**თარაზულად:** 1. ხვანჭკარა; 6. გემრიელი; 7. ლუქსორი; 9. არემდი; 10. ლემი; 11. დოვლათი; 13. პაქტი; 15. რუბიკი; 17. მიუსერა; 18. კურაგა; 19. ტაიბეი; 20. მიტარბი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დუდა; 2. ილი; 3. ჯაბადარი; 4. გო; 5. ბარახასი; 6. იაგო; 7. ფოცხოვი; 10. პაპი; 11. ზავენტემი; 12. გემმანია; 13. წულა; 16. ფეიხოა; 18. ლიკეუმი; 19. აფონია; 21. დთეთ; 24. კომშა.

**თარაზულად:** 1. დესპანი; 3. ჯილაგი; 8. სალამი; 9. დემო; 14. შპრეე; 15. კულუხი; 17. რადი; 20. რონოდა; 22. სპინი; 23. ფრანკი; 25. შნი; 26. ხაჯო; 27. ლემა; 28. შიომღვიმე.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


1 დეკემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7177

ევრო — 2.8161

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2618

100 რუსული რუბლი — 4.4526

## ამინდის პროგნოზი 1 დეკემბრისათვის




## გარეტ საუთგეიტი: „ინგლისის ნაკრები ერთ-ერთი ფავორიტია“



ინგლისმა უელსს 3:0 მოუგო და ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა. სამივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა და აქედან ორი მათგანი მარკუს რეშფორდის ანგარიშზეა. მატჩის შემდეგ საუთგეიტმა თქვა, რომ მისი გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტია და მათ ტურნირის მოგების კარგი შანსი აქვთ: „ჩემი ნაკრების თამაშით კმაყოფილი ვარ და ვიცი, რომ შეგვიძლია შორს წავიდეთ, თუმცა ეს ბევრ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული“. ინგლისი მერვედფინალში სენეგალს დაუპირისპირდება.

## ვან გაალი: „ჰოლანდიის ნაკრები კრიტიკას არ იმსახურებს“



ჰოლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა საკმაოდ ხისტად უპასუხა ჟურნალისტს, რომელმაც მისი გუნდის თამაშის ხარისხი გააკრიტიკა. ვან გაალის აზრით, მისი გუნდი მაღალი დონის ფეხბურთს აჩვენებს: „არ ვფიქრობ, რომ ცუდად ვთამაშობთ და, თქვენ თუ ასე ფიქრობთ, ეს თქვენი აზრია. ჩვენ ჯგუფიდან გავედით და მერვედფინალშიც კარგი შანსი გვაქვს“. ჰოლანდია მერვედფინალში აშშ-ს დაუპირისპირდება.

## ნეიმარი: „მერვედფინალში აუცილებლად ვითამაშებ“



ბრაზილიის ნაკრების ფორვარდმა ნეიმარმა თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ ბრაზილიას შეუძლია ტურნირის მოგება, მაგრამ ამისთვის საჭიროა გამართლება და ნაკლები ტრავმები: „მინდა, რომ ყველამ იცოდეს, მერვედფინალში აუცილებლად ვითამაშებ და ჩემს გუნდს მაქსიმალურად დავეხმარები. თუ ტრავმებს თავიდან ავირიდებთ, კარგი შანსი გვექნება, ჩემპიონატი მოვიგოთ“.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## პოლიციის თანამშრომელი ქალი ეროტიკული ფოტოსურათების გამო სამსახურს ჩამოაშორეს



ლონდონის პოლიციის თანამშრომელმა სემ ჰელენმა სამსახური მას შემდეგ დატოვა, რაც ის სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული საკუთარი ეროტიკული ფოტოსურათების გამო სამსახურს ჩამოაშორეს.

ქალმა ეროტიკული ვიდეოების გადაღება და მათი სოციალურ ქსელებში გამოქვეყნება 2020 წელს დაიწყო. მიუხედავად ხელმძღვანელობის მხრიდან გაფრთხილებისა, მან მათი გამოქვეყნება გააგრძელა სახელწოდებით „სვირინგებიანი ბარბი“. ერთ-ერთ თავის ვიდეოში ის გადაღებულია მუქი ლურჯი ფერის კორსეტით, პოლიციელის ნიშნითა და წარწერით: „ონავარი ოფიცერი“.

მოგვიანებით ქალი კიდევ ერთ გვერდზე დარეგისტრირდა და საკუთარი ინტიმური ვიდეოებისა და ფოტოსურათების გაყიდვა დაიწყო. ეს უკვე მისმა ხელმძღვანელობამ ვეღარ მოითმინა და სამსახურს ჩამოაშორა.

მართალია, ქალი პოლიციაში აღარ მუშაობს, მაგრამ მას შესაძლოა კვლავაც წაუყენონ სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევის ბრალდება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 1 დეკემბრისათვის



**ვერძი** — სასიცოცხლო პოტენციალი მკვეთრად იზრდება. შესაფერისი დღეა მეგობრებთან შეხვედრისა და გართობისათვის. **კურო** — აქტიური და შემოქმედებითი დღეა. აქცენტი მხოლოდ მთავარზე გააკეთეთ. **ტყუპები** — კომერციულ საქმიანობაში გიმართლებთ. ფინანსური მდგომარეობა უმჯობესდება. **კირჩხიბი** — ეცადეთ, გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა შეინარჩუნოთ. გარეგნულად ოპტიმისტური ჩანხართ, მაგრამ ეს მხოლოდ შირმაა. **ლომი** — რომანტიკული გრძნობების გამოვლენისას იფრთხილეთ. შესაძლოა, საპირისპირო სქესმა იმედი გაგიცრუოთ. **ქალწული** — ნუ დაწვრილმანდებით. მცირე შეცდომების გამო გული არ გაიტეხოთ. **სასწორი** — ინტიმურ სფეროში სიტუაცია არასტაბილურია. მძიმე წუთებში დახმარებისთვის მეგობრებს ან ნათესავებს მიმართეთ. **მორიელი** — თქვენს ნიჭს მოულოდნელად სრულიად ახალ საქმეში წარმოაჩენთ. დღეს მხოლოდ ჯანსაღი საკვები მიიღეთ. **მშვილდოსანი** — შემოთავაზებული საქმიანი წინადადება ხელსაყრელი იქნება. მატერიალური მდგომარეობა საკმაოდ გიუმჯობესდებათ. **თხის რქა** — დღის დევიზია სიდინჯე და თავშეკავება. ბევრი ლაპარაკით საქმეს გააფუჭებთ. **მერწყული** — დღეს რამდენიმე პრობლემა თავს ერთდროულად იჩენს, თუმცა თქვენი შორსმჭვრეტელობა და სიბრძნე მათ გადალახვაში დაგეხმარებათ. **თევზები** — სახიფათო დღეა. განსაკუთრებით გაუფრთხილდით ფინანსებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— ჩემმა ცოლმა ახალი ტაფის ყიდვა მთხოვა...

— მერე, რა პრობლემაა?

— რა და ახლა იმაზე ფიქრით ვიმტვრევ თავს: ამიერიდან კარგად ვჭამო თუ კარგად მოვიქცე?

•••

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

— შენი ქმარი ეწევა?

— ჰო, მხოლოდ სექსის შემდეგ.

— მერე, ჯანმრთელობის პრობლემა არ აქვს?

— კარგი რა, წელიწადში ორმა-სამმა ღერმა რა უნდა უყოს?!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— ბიჭო, შენი სიდედრი როგორ ახალგაზრდულად გამოიყურება.

— ვამპირები არ ბერდებიან!

•••

ავადმყოფი ექიმს მიმართავს:

— ექიმო, თუ შეიძლება, პალატაში ჩემი მეზობელი მომაშორეთ.

— რატომ?

— გაიძახის, მოტოციკლეტი ვარო...

— მისი ხმაური გაწუხებთ?

— არა, გამონაბოლქვი აირები!!!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## თეატრალურმა საზოგადოებამ რჩეული ხელოვანები დააჯილდოვა

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ყოველწლიური კონკურსის, „თეატრალური სეზონის საუკეთესო ნამუშევრის“ რჩეული ხელოვანები დააჯილდოვა.

ჟიურის გიორგი ყაჯრიშვილი თავმჯდომარეობდა და მისი წევრები იყვნენ თამთა ქაჯაია, დავით ბუხრიკიძე, სოფიკო ნადიბაიძე, ნუცა კორინთელი. ჟიურის წევრებმა ნახეს სპექტაკლები თბილისსა და საქართველოს რეგიონებში და საქართველოს თეატრალური საზოგადოების ყოველწლიური პრემია „თეატრალური სეზონის საუკეთესო ნამუშევარი — 2021-2022 წლები“ გასცეს სხვადასხვა ნომინაციაში.

## დემნას დიდ ბრიტანეთში დააჯილდოებენ



ქართველ დიზაინერ დემნას დიდ ბრიტანეთში დააჯილდოებენ.

დიდი ბრიტანეთის მოდის საბჭომ დემნა 2022 წლის საერთაშორისო დიზაინერის ნომინანტებს შორის დაასახელა.

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი 5 დეკემბერს ლონდონში გაიმართება.

## ანსამბლი „ათძალი“ სტამბოლის საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებულია



ფოლკლორული ანსამბლი „ათძალი“ სტამბოლში გამართულ სიმღერისა და ცეკვების საერთაშორისო ფესტივალზე მიიწვიეს, სადაც გაიმარჯვა, პირველი ადგილი მოიპოვა და საქართველოს დროშაცააფრიალა.

ქართველი მომღერლების მიერ შესრულებულმა სიმღერამ ფესტივალის ჟიურისა და დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა და რჩეულის წოდებაც სრულიად დამსახურებულად მოიპოვა.

## ჯემალ სეფიაშვილი საიუბილეო კონცერტს გამართავს



კომპოზიტორი ჯემალ სეფიაშვილი 75 წლის იუბილეს კონცერტით აღნიშნავს.

25 დეკემბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ხელოვანის საიუბილეო ბენეფისი ჩატარდება.

ჯემალ სეფიაშვილის 75 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საღამოში ქართული ესტრადის ცნობილი მომღერლები და ანსამბლები მიიღებენ მონაწილეობას.

## „იუმორინა 2023“ იწყება




შოუბიზნესცენტრი „ლომისი“ „იუმორინას“ ერთგულ მაყურებელს ორდღიან დაუვიწყარ კონცერტებს სთავაზობს.

16 და 17 დეკემბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში „იუმორინა 2023“ ჩატარდება.

სრულიად ახალი პროგრამის ავტორი და რეჟისორი ჯემალ ბაღაშვილია, მუსიკალური ხელმძღვანელი — გია ბაღაშვილი.

## ოთარ ტატიშვილმა ეთერ კაკულიას სიმღერა მიუძღვნა



კომპოზიტორმა ოთარ ტატიშვილმა მომღერალ ეთერ კაკულიას სიმღერა მიუძღვნა. ახალი ნამუშევრის პრემიერა ხელოვანმა მომღერლის 80 წლის იუბილეზე ინტერნეტით გამართა:

— ეთერ კაკულიას 80 წელი შეუსრულდებოდა. ეთერს სიცოცხლე უყვარდა, აღმერთებდა საქართველოსა და ქართველ ხალხს, ზოგადადაც კაცთმოყვარე იყო, უყვარდა მეგობრები, ჰქონდა საოცარი იუმორის გრძნობა. ჩვენ ვმეგობრობდით და ვთანამშრომლობდით. მოვლილი გვაქვს სხვადასხვა დროს თითქმის მთელი საქართველო კონცერტებით. დარჩა უამრავი მოგონება, სახალისო კურიოზები და თავგადასავლები. ეთერს საკმაოდ ბევრი ჩემი სიმღერა ჰქონდა შესრულებული — „ვაკელები“, „შემოდგომის ზარები“, „სიმღერა ჩემი ფრთებია“ („გთხოვ, ნუ გამწირავ, ჯერ რამდენი არ მიმღერია“) და სხვა. სწორედ ამ სიმღერით დაასრულა მან თავის მიწიერი ცხოვრება სცენაზე.

102 წელს აპირებდა სიცოცხლეს, თუმცა მძიმე სენმა არ მისცა ამის საშუალება, სამწუხაროდ და, მიუხედავად ამისა, მაინც არ კარგავდა ბოლომდე იუმორის გრძნობას, სეკვესტრი უნდა მოვახდინოო. ეთერმა დაუტოვა ქართველ ხალხს მისდამი დიდი სიყვარული და მონატრება. მის მიერ შესრულებული სიმღერები აგრძელებენ სიცოცხლეს და მეტიც, მან დაგვიტოვა ჩანაწერების ნაწილი, რომელიც ეთერში არ გაჟღერებულა სხვადასხვა მიზეზის გამო. რამდენიმე ჩემი სიმღერის გაჟღერებაც ვერ მოასწრო. მას განსაკუთრებით უყვარდა მზე. მზე მისი კარგი მეგობარი იყო და ალბათ სამუდამოდ წაიყვანა თავისთან, თუმცა სთხოვა, ქართველი ხალხი და საქართველო არ მიეტოვებინა და თავისი მადლით მუდამ დაემშვენებინა.

„მზის სადიდებელი“ დავარქვი ამ სიმღერას. ლექსიც ჩემი გახლავთ. ვფიქრობ, ზემოთ რაზეც გესაუბრეთ, სწორედ ამ სიმღერაშია ეთერის მიერ გამოხატული. არანჟირება ეკუთვნის შესანიშნავ კომპოზიტორსა და პიროვნებას, ჩემს მეგობარ გია მაჭარაშვილს. ნათელში იყოს ეთერის სული და დღეგრძელი — მისი შემოქმედება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 2. პატარა ბუ; 3. კუნძულოვანი სახელმწიფო აზიაში; 4. რომან „გმირთა ვარამის“ ავტორი; 5. იურიდიულად გაფორმებული სავალო ხელშეკრულება; 8. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 9. ქართველი პოეტი ქალი; 12. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 14. დონ კიხოტის გვარი; 16. უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი.

**თარაზულად:** 1. საეკლესიო წესით ქორწინება; 6. სოფოკლეს ტრაგედია; 7. წვრილფეხა საქონლის ნაწლავებისგან დამზადებული ქირურგიული ძაფი, რომელსაც შიგნითა ნაკერების დასადებად იყენებენ; 9. წყალქვეშა სამუშაოებისთვის განკუთვნილი ჰერმეტული კამერა; 10. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხურთელი; 11. სითხის, აირის, წნევისა და ხარჯის სარეგულაციო სარქველი; 13. უნგრელი მწერალი, რომან „ოქროკაცის“ ავტორი; 15. ქართული ხალხური ზღაპარი; 17. უბანი ძველ თბილისში; 18. ღვარძლიანი, გულღრძო ადამიანის ძველებური სახელწოდება; 19. გია დანელიას კინოკომედია; 20. სასაუზმე იტალიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

